ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

js[if,fsb7 !% st,thdfkb7 @)!@ 138 (5728) afcb5 #) stshb

7 თებერვლიდან!

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+ ყველასთვის გასაგები ვეფხისტყაოსანი“

წიგნი და გაზეთი ერთად 8 ლარი



# ბაღათურიამ უმრავლესობა უცენზურო სიტყვებით მოიხსენია

გვ. 3

## გაწევ-გამოწევა პარლამენტში



## ივანიშვილის კოალიციის კარი ჯერ საბოლოოდ არ დახურულა

გვ. 2

მილიარდერის კარზე ლევან გაჩეჩილაძეს პროტექციას თინა ხიდაშელი უწევს?



## 47 წლის პატიმარი გარდაიცვალა

გვ. 4

რატომ არ მოქმედებს კანონი სიკვდილის პირას მყოფი პატიმრებისთვის



## აზიზიეს მეჩეთის გამო საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

გვ. 3

რამდენი კანონი მიიღეს დეპუტატებმა საგაზაფხულო სესიის პირველ სხდომაზე



## ეკა ბესელია: საააკაშვილი ძალაუფლებას კარგავს!“

გვ. 6

ხელისუფლება რეპრესიებს დაიწყებს

## ნონა გაფრინდაშვილი: სახალხო კრება მესამე ოპოზიციური ცენტრის შექმნას არ აპირებს“

გვ. 2



## მილაური საავტომობილო გზების მდგომარეობით დაინტერესდა



გვ. 5

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+ ხბყუბპ .ფტყბ

* კფჰბ

! სტ,ტჰდკბლფყ





ISSN 1987-9385

2 თავისუფალი საქართველო“ ქუთაისის საკრებულოს გადაწყვეტილებას აპროტესტებს

6 ძლიერი ყინვების გამო თბილისში სხვადასხვა სახის ტრავმა 300-მდე მოქალაქემ მიიღო

6 ნინო ბურჯანაძე: ერთობა არ ნიშნავს საპარლამენტო სიაში ადგილების განაწილებაზე ვინმესთან კონკურენციას

2 კუდ-მა ტერაქტის მოწყობის მცდელობაში ბრალდებული დააკავა

## ნონა გაფრინდაშვილი: სახალხო კრება მესამე ოპოზიციური ცენტრის შექმნას არ აპირებს“

სასტუმრო „ძველ თბილისში“ სახალხო წარმომადგენლობითი კრების აღმასრულებელ საბჭოსა და სათათბირო ორგანო – დარბაზის წევრების შეკრება გაიმართა.

როგორც ჟურნალისტებს „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ნონა გაფრინდაშვილმა განუცხადა, შეხვედრის ძირითადი თემა იმ პოლიტპატიმართა მდგომარეობა იყო, რომლებიც არსებული რეჟიმის გადაწყვეტილებით 26 მაისის მოვლენების შემდეგ სხვადასხვა ვადით აბსოლუტურად უკანონოდ იხდიან სასჯელს.

მისი თქმით, „სახალხო კრებისა“ და ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობის“ მხარდამჭერ პოლიტპატიმართა რაოდენობა 40-ს აჭარბებს. ეს პირები დანაშაულს არ აღიარებენ. გარდა ამისა, შეხვედრაზე მიმოიხილეს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა. აღინიშნა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ბოლო პერიოდში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს. შექმნილი მდგომარეობა ბუნდოვანს ხდის მომავალ საპარლამენტო არჩევნებში რეალური ოპოზიციის გამარჯვებას თუ რაიმე სერიოზული გარდამტეხი სვლები არ განხორციელდება.


ნონა გაფრინდაშვილი

„სახალხო კრება“ მუშაობას განაგრძობს. ჩვენ აზრი არ შეგვიცვლია და ვართ ამ რეჟიმის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, რომელიც არის რეიტინგული და მოსახლეობაში ნდობის ფაქტორით სარგებლობს. სახალხო კრება მის პოლიტიკურ არენაზე გამოსვლას მიესალმება. ჩვენ გაგვიხარდება, რომ მისი მიზნები გამარჯვებამდე მივიდეს, მაგრამ ხელისუფლების ქმედებები მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილები ვერ ვისხდებით და პროცესებს შორიდან ვერ ვუყურებთ. ამიტომ უნდა გამოვნახოთ აუცილებელი გზა, რომლითაც ჩვენ ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას მივიღებთ და თან ამავდროულად ახალ ძალას ხელს არ შევუშლით“, – განაცხადა გაფრინდაშვილმა და დასძინა, რომ „სახალხო კრება“ არავითარი მესამე ოპოზიციური ცენტრის შექმნას არ აპირებს. შესაბამისად, არც არჩევნებში მონაწილეობას, რადგან ეს მისი პრეროგატივა არ არის.

გაფრინდაშვილის თქმით, კრებაში გაერთიანებული პოლიტიკური სუბიექტების ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში გაწევრიანება იდეაფიქსი არ არის. მისივე თქმით, „სახალხო კრება“ იქნება იქ, სადაც უნდა იყოს, ვისაც ამ ხელისუფლების დემონტაჟი სურთ.

„თუ ვინმეს ჩვენი დახმარება დასჭირდება, ჩვენ იქ დავდგებით“, – განაცხადა გაფრინდაშვილმა და დასძინა, რომ „სახალხო კრება“ უახლოეს მომავალში მოსახლეობისადმი მიმართვას გაავრცელებს, სადაც სამომავლო გეგმებზე ისაუბრებს.

**მედიანიუსი**

# ივანიშვილის კოალიციის კარი ჯერ საბოლოოდ არ დახურულა

## მილიარდერის კარზე ლევან გაჩეჩილაძეს პროტექციას თინა ხიდაშელი უწევს?

თამარ ნინიძე

**პოლიტიკური სპექტრი თანდათან იწმინდება და ძალთა განლაგების სურათი იკვეთება. ივანიშვილის კოალიციაში ახალი სუბიექტი ეროვნული ფორუმი ინტეგრირებას ცდილობს. როცა კობა დავითაშვილი ივანიშვილის კოალიციაში შევიდა, ის თვლიდა, რომ კოალიცია ახალი სუბიექტებით აღარ შეივსებოდა, სხვათა შორის, ამაზე რესპუბლიკელებიც და ალასანიაც საუბრობდნენ, მაგრამ დრო გავიდა და გაერთიანებას ეროვნული ფორუმი შეუერთდა. გუბაზ სანიკიძე რომ მედიასთან პრესკონფერენციაზე პარტიის გეგმებზე საუბრობდა, ამ დროს ცნობილი გახდა, რომ ივანიშვილი კოალიციაში მწვანეთა პარტიას, საქართველოს გზასა და გუგული მაღრაძის ქალთა პარტიასაც იწვევდა. სავარაუდოდ, ამ სამი პარტიის გაწევრიანება კოალიციაში ისე არ გაიწელება დროში, როგორც ფორუმთან მოლაპარაკებები გაგრძელდა ორი თვით.**

ასევე ცნობილი გახდა, რომ ივანიშვილს კოკა გუნცაძეც სტუმრობდა. კოკა გუნცაძე ლევან გაჩეჩილაძის განუყრელი მეგობარია, სავსებით შესაძლებელია გაპოლიტიკოსებული მილიარდერი ლევან გაჩეჩილაძესაც მიიწვევს თავისთან, ეს სწორ გათვლად შეიძლება ჩაითვალოს, გაჩეჩილაძეს ელექტორატის ხმების მოზიდვა ჯერ კიდევ შეუძლია, მან არჩევნებში სრულიად ნათლად, ოპოზიციის ეჭვების ფონზე, რომ არჩევნები გაყალბდა, თბილისი მოუგო სააკაშვილს (სწორედ ამის შემდეგ შეიძულა თბილისელები მიხეილმა და ახლა სახელისუფლებო უწყებები მთავრობიანად და პარლამენტიანად ქუთაისში გადააქვს, ჰილარი კლინტონს კი ბათუმში ეპატიჟება); ასე რომ, გაჩეჩილაძის კოალიციაში შეყვანა ივანიშვილისთვის დამატებითი კოზირია ხმების მოსაზიდად, მით უმეტეს, გაჩეჩილაძე „ვერსიასთან“ ინტერვიუში თინა ხიდაშელმაც თბილად მოიხსენია და გამოააშკარავდა მისი მხრიდან პროტექცია გაჩეჩილაძის მიმართ. გუნცაძე მისი თხოვნით შეხვდა ივანიშვილს თუ ივანიშვილმა ის მიიწვია ხიდაშელის რეკომენდაციით, ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. გაჩეჩილაძე აქამდე ხმას არ იღებდა, კომენტარებსაც გაურბოდა და მედიასთან არ ჩნდებოდა. ლევანს რომ გოგა ხაინდრავაც გვერდით ეყოლება, ამას დიდი მკითხაობა არ უნდა. გოგა ხაინდრავა რესპუბლიკელ ივლიანე ხაინდრავას ძმაა, ადრე თუ გვიან, ეს სამი მუშკეტერი: გუნცაძე, გაჩეჩილაძე და ხაინდრავა ამ კოალიციის წევრები უნდა გახდნენ.

ივანიშვილი გია მაისაშვილის


ლევან გაჩეჩილაძე

გამოცდილებასაც გამოიყენებს, ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ეკონომისტი ნოდარ ხადურიც ივანიშვილის ბანაკში გადაბარგდა, ის ეკონომიკის ექსპერტია და აქამდე ბურჯანაძის პარტიაში მოღვაწეობდა.

ბიძინა ივანიშვილი თებერვლის ბოლოს საკუთარ პარტიას შექმნის, რამდენიმე დღეში საინიციატივო ჯგუფის პრეზენტაცია შედგება, ვინ იქნება ამ საინიციატივო ჯგუფში, ამის შესახებ ინფორმაცია არ არის, გუბაზ სანიკიძემაც წევრთა ვინაობა არ გაამხილა, მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ საინიციატივო ჯგუფში ჟურნალისტ ელისო ჩაფიძეს იწვევენ. მოლაპარაკება დაწყებულია და სავარაუდოდ ივანიშვილის წინადადებას ჩაფიძე დათანხმდება.

წყალგამყოფი ხაზის გაღმა მხარეს ისეთი პოლიტიკოსები დარჩნენ, ვისი ელექტორატის გამოყენება ივანიშვილს ზუსტად ისევე წარმატებით შეეძლო, როგორც ახლა გაჩეჩილაძის ამომრჩევლის მოზიდვაზე ფიქრობს, პირველ რიგში, ლეიბორისტები მყავს მხედველობაში. არავისთვის უცნაური არ არის, რომ ლეიბორისტებს ქრონიკულად ერთგული ამომრჩეველი ჰყავს, მისი პროცენტი სხვადასხვა გამოკითხვებით, მათ შორის, ხელისუფლების მიერ დაკვეთილი გამოკითხვებითაც, 7 და 6-ს შორის მერყეობდა. ერთგული ამომრჩევლის წყალობით, შალვა ნათელაშვილს მუდმივად ედო ჯიბეში სასურველი მანდატი, ახლა რომ ის ივანიშვილის გვერდით არ არის, სავარაუდოა, პიროვნული კონფლიქტია ამის მიზეზი, ასევე ვფიქრობთ კონფლიქტია ოქრუაშვილთან ნაწილობრივ ეროსი კიწმარიშვილის გამო. ივანიშვილი ეროსის ბიზნესკომპანიას უფინანსებდა, მერე ეს ფინანსები სადღაც გაუჩინარდა, ამის შესახებ ეროსის თავის მართლებაც მოუწია; გარდა ამისა, ეროსი და მამუკა ღლონტი დაპირისპირებული არიან, ივანიშვილი მამუკა ღლონტისადმი კეთილგანწყობილია და ეს „მეასტროს“ სამაუწყებლო პოლიტიკასაც დაეტყო. ივანიშვილმა ეროსისა და ირაკლის მართლაც თამარქალივით წარსტაცა სოზარ სუბარი. ივანიშვილს გარკვეული პრეტენზიები აქვს ოქრუაშვილთან მისი მინისტრობის პერიოდში არსებული ფინანსური პრობლემებისა და არასწორი სამხედრო სტრატეგიის გამოც. გარდა ამისა, არანაკლები მოტივაცია აქვთ რესპუბლიკელებსაც. ოქრუაშვილმა თავის დროზე ისეთი უცენზურო და კაცისთვის შეუფერებელი სიტყვებით ლანძღა თინა ხიდაშელი, მაინც ვერ გავიგეთ, რა იყო ამის მიზეზი.

ივანიშვილის კოალიციაში ვერ შეაღწია ბურჯანაძემ, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ბურჯანაძე ევროინტეგრაციაზე საუბრობს და დემოკრატიული მოძრაობა ევროპასთან ინტეგრაციის საჭიროებაზე უფრო აქტიურად ალაპარაკდა, ივანიშვილი ბურჯანაძეს კოალიციაში მაინც არ იწვევს. საყურადღებოა, რომ როგორც ბურჯანაძე თვლიდა ქუჩის აქციებს ბრძოლის ერთ–ერთ ფორმად, ისევე თვლის ამას ახლა უკვე ბიძინა ივანიშვილიც; როგორც ბურჯანაძე თვლიდა, რომ პუტინთან მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა საჭიროა, ამ პოზიციაზეა ივანიშვილიც, ბურჯანაძე ევროპასთან ინტეგრაციაზე საუბრობს, მაშინ რაღაა ამ ორ პოლიტიკოსს შორის ისეთი პრინციპული უთანხმოება, რის გამოც ისინი ვერ ითანამშრომლებენ, გაუგებარია.

საერთო ქვაბში იხარშებიან შაშიაშვილი და კუკავა. თინა ხიდაშელი აცხადებს: „შალვას თავს არ დავესხმები, კუკავა კი ღრმად არასერიოზული მოვლენაა.“ საინტერესო შეხედულება აქვს ხიდაშელს ბურჯანაძეზე, ის აცხადებს „ვერსიასთან“ ინტერვიუში: „არიან ადამიანები, ვისაც სჯერა, რომ ბურჯანაძე ებრძვის რეჟიმს, ეჭვი არ მეპარება, რომ ის გულწრფელად ებრძვის სააკაშვილს, მაგრამ როგორ მიყავს და ამას რა შედეგი მოაქვს, ეს სხვა საქმეა. მან დაუბრუნა მიშას ლეგიტიმაცია ძალადობაზე.“

ბურჯანაძეს საბოლოოდ დაეკარგა ივანიშვილთან თანამშრომლობის იმედი, მისი რწმენა, რომ ივანიშვილის მეთაურობით „სრულიად ოპოზიციური ერთიანი ფრონტი იქნებოდა“, არ გამართლდა.

გუგული მაღრაძესთან, სალომე ზურაბიშვილთან და გია გაჩეჩილაძესთან თანამშრომლობის საკითხები თითქმის გადაწყვეტილია, ახლა მხოლოდ აკაკი ასათიანი ელოდება თავის რიგს. ასათიანთან დაკავშირებით ჯერ არგუმენტები არ ჩანს, სხვათა შორის, არც ის, რატომ არ მოსწონს ივანიშვილს ის და არც ის ცნობები ვრცელდება, აკაკი ასათიანი დგას თუ არა კოალიციის ზღურბლთან მომლოდინეთა გრძელ რიგში.

## „თავისუფალი საქართველო“ ქუთაისის საკრებულოს გადაწყვეტილებას აპროტესტებს

პარტია „თავისუფალი საქართველო“ მიიჩნევს, რომ ქუთაისის ბიუჯეტში საკრებულოს მიერ დამტკიცებული ცვლილებები ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო სამზადისს და მის ფინანსური უზრუნველყოფას ემსახურება. ამის შესახებ პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„თავისუფალი საქართველოს“ ინფორმაციით, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ტერიტორიული ორგანოების ოფისების მშენელობისათვის 486,000 ლარი, ცენტრალური მოედნის რეაბილიტაციისათვის 3,985,000 ლარი, პროგრამა „კორპუსის“ დაფინანსებისთვის 2,318,263 ლარი, ხოლო მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობისთვის 200,000 ლარი გამოიყო.

„ვინაიდან ხელისუფლებისადმი მიმართვას აზრი არ აქვს, რადგან დარწმუნებული ვართ ისინი ჩვენს შენიშვნებს არ გაითვალისწინებენ , მოვუწოდებთ ოპოზიციურ პარტიებს და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შევქმნათ ერთიანი ფრონტი. ერთად ვიბრძოლოთ ამ დადგენილებების შეცვლისათვის და გამოთავისუფლებული თანხები სამუშაო ადგილების შექმნასა და სოციალურ პროგრამებს მოვახმაროთ“, – ნათქვამია „თავისუფალი საქართველო“-ს ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის – ზვიად წაქაძის განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

## კუდ-მა ტერაქტის მოწყობის მცდელობაში ბრალდებული დააკავა



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური დეპარტამენტის თანამშრომლებმა ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობაში ბრალდებული ბეჟან შაკაია დააკავეს.

როგორც „ნიუსპრესს“ სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, შაკაია საქართველოში რუსების მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოვიდა. სხვა დეტალებს შსს-ში ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ.

პრესსამსახურში მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ ბეჟან შაკაიას ისრაელის საელჩოსთან გუშინწინ მომხდარ ინციდენტთან კავშირი არ აქვს. საქართველოში ისრაელის საელჩოსთან გუშინ სამართალდამცველებმა ტერაქტის მცდელობა აღკვეთეს. შსს-ს ინფორმაციით, საელჩოს მძღოლის ავტომობილში აღმოაჩინეს ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც დროულად გააუვნებელყვეს.

**ნიუსპრესი**

## ალა ჯიოევამ შესაძლოა რუსეთისა და სტრასბურგის სასამართლოებს მიმართოს

ცხინვალის ოპოზიციის ლიდერმა ალა ჯიოევამ შესაძლოა რუსეთისა და სტრასბურგის სასამართლოებს მიმართოს. ჯიოევას შესაბამის განცხადებას ოსური მედია ავრცელებს.

ოპოზიციის ლიდერმა სპეციალური განცხადებით დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრ ვადიმ ბროვცევს მიმართა. განცხადებაში ჯიოევა ბროვცევისგან ითხოვს იმის ახსნას, თუ რას უკავშირდება ძალოვნების „ვიზიტი“ მის შტაბში, რის შემდეგაც ის საავადმყოფოში აღმოჩნდა.


ალა ჯიოევა

ოპოზიციის ლიდერმა აღნიშნა, რომ ვინაიდან მას რუსეთის მოქალაქეობა აქვს, აპირებს მომხდარის გამო რუსეთის სასამართლოში სარჩელი შეიტანოს, საჭიროების შემთხვევაში კი მზად არის სტრასბურგის სასამართლოშიც იჩივლოს.

ოსმა ძალოვნებმა ჯიოევას შტაბი 9 თებერვალს შტურმით აიღეს, რის შემდეგაც მან ინსულტი გადაიტანა და ნაწილობრივ პარალიზებულია. იგი 10 თებერვალს ინაუგურაციას გეგმავდა. 2011 წლის 30 სექტემბერს დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით ალა ჯიოევას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დე-ფაქტო პრეზიდენტობის კანდიდატი ამჟამად ცხინვალის საავადმყოფოში მკურნალობას განაგრძობს.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
№
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ბალათურიამ უმრავლესობა უცენზურო სიტყვებით მოიხსენია

## გაწევ-გამოწევა პარლამენტში

თეა მარხვაიძე

გუშინ მშობლიური პარლამენტი მუშაობას შეუდგა. საგაზაფხულო სესიის პირველი დღე იმაზე ხმაურიანი აღმოჩნდა, ვიდრე დეპუტატებს ეგონათ. ხმაურიანი სხდომებით ამ მოწვევის პარლამენტს ერი განებივრებული ნამდვილად არ ჰყავს და ამიტომ მას ნებისმიერი საპარლამენტო გაწევ-გამოწევა უხარია.

14 თებერვლის სხდომა ტრადიციული მდუმარებით გამორჩეული რომ არ იქნებოდა, ამას ყველა გრძნობდა. საქმე ის გახლავთ, რომ სხდომამდე 2 დღით ადრე საპარლამენტო უმცირესობა კინაღამ დაიშალა.

პირველი ხმაური სწორედ უმცირესობის ფაქტორმა გამოიწვია. ეროვნული ჰიმნის შემდეგ დავით ბაქრაძემ დღის წესრიგი დაამტკიცა და, როგორც წესია, გამომსვლელი დეპუტატების სიაც ამოიკითხა.

ამ სიის პირველ ნომრად დავით ბაქრაძემ კურდღელაშვილის მიერ გადარჩენილი უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე დაასახელა, რასაც ჯონდი ბალათურიას შეშფოთება და აღშფოთება მოჰყვა.




აღშფოთების გამოხატვა ბალათურიას მიკროფონის გარეშე მოუხდა. უმიკროფონობას მისთვის ხელი ნამდვილად არ შეუშლია, ისე გაჰყვიროდა, ნაციონალების ნაწილი გუშინვე ლარინგოლოგთან (ყურის ექიმი) იყო წასაყვანი.

ბალათურიას სოლოპარტიის შესრულება ნაცმოძმა არ აცალა. ისინიც ახმაურდნენ, მაგრამ ჯონდი აშკარად სჯობნიდა მათ.

— ამ სიაში პირველი მე ვიყავი. ვიღაცამ გამომსვლელთა სია შეცვალა, — გაიძახოდა გაბრაზებული ბალათურია.

ოპოზიციონერი დეპუტატის ხმამაღალმა პროტესტმა პარლამენტის სპიკერსაც „მოსჭრა“ ყური და ბალათურიას დასაშოშმინებლად მანდატურს უხმო. ბალათურია ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ მოგვიანებით ისევ აურია.

უმცირესობის ლიდერმა თავისი გამოსვლა დაასრულა თუ არა, ისევ ბალათურიამ დაიწყო სოლოპარტიის შესრულება.

მან განაცხადა, რომ სიტყვით გამომსვლელთა რიგითობის შეცვლას განსაკუთრებით ადგილი აქვს თარგამაძის შემთხვევაში, რაც მას ბავშვობას აგონებს, როდესაც ჩამორჩენილ მოსწავლეს იმის გამო იფარავდნენ ხოლმე, რომ სკოლის დირექტორის კაცი იყო.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ბალათურიას ნაცვლად გამომსვლელთა სიაში სხვა ადამიანი აღმოჩნდა. ამის გამო დეპუტატს სხვა დროსაც აქვს პროტესტი გამოთქმული. ამჯერად მან სპიკერის შენიშვნა დაიმსახურა.

ბაქრაძემ ბალათურიას ელემენტარული ეთიკური სტანდარტების დაცვისკენ მოუწოდა და მსგავსი სახით ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს სირცხვილი უწოდა.

— ძალიან აგრესიულად იწყებთ ამ სესიას და არ გეყოფათ ძალა მის დასრულებამდე, — მიმართა ბაქრაძემ ბალათურიას.

ბაქრაძის შენიშვნამ ბალათურიას გულში აღშფოთების ცეცხლი ვერ გაანელა. მან ელიტური კორუფციის ფაქტების გამოსავლენად საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა. ამასთან, დეპუტატმა პრეზიდენტისა და მისი უმრავლესობისგან კონსტრუქციული დამოკიდებულების იმედი გამოთქვა.

ჯონდი ბალათურიამ განაცხადა, ბენზინი და წამლები მთელ მსოფლიოში იაფდება, თუმცა, საქართველოში ძვირდებაო.

— საქართველოში ბენზინი ძვირდება, იმიტომ რომ ამ ბენზინში პრეზიდენტი და მისი კლანია ჩართული, — განაცხადა ბალათურიამ.

მისი აზრით, პარლამენტში აუცილებელია საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლის პრეზიდენტისა და მისი კლანის საქმიანობას და დაადგენს, თუ რატომ იზრდება ფასი საწვავზე, ასევე რატომ იზრდება ფასი მედიკამენტებზე თუნდაც მაშინ, როდესაც საქართველოდან გატანილი მედიკამენტები მეზობელ ქვეყნებში შედარებით უფრო იაფია.

— კომისიამ უნდა შეისწავლოს ყველა ბიზნესი, რომელიც პრეზიდენტის ოჯახის მიერ არის მონოპოლიზებული, — განაცხადა ჯონდი ბალათურიამ.

ამასთან, ბალათურიამ აღნიშნა, რომ ამავე კომისიამ უნდა შეისწავლოს არა მხოლოდ პრეზიდენტის კლანის ბიზნესი, არამედ სხვა ელიტური კორუფციის ფაქტებიც. ერთ-ერთ სფეროდ, სადაც ელიტური კორუფციაა, ბალათურიამ განათლება დაასახელა და აღნიშნა, რომ ფასები როგორც განათლების მიღებაზე, ასევე სახელმძღვანელოებზე სპეკულაციურად არის გაზრდილი.

მისი თქმით, არსებობს ქვეყანაში სახელმძღვანელოების მხოლოდ ერთი ბიზნესი, რომელსაც მინისტრი აკონტროლებს და ის უთითებს ყველას, თუ ვინ რა სახელმძღვანელო უნდა იყიდოს.

დავით ბაქრაძის განცხადებით კი ბალათურიას კონსტრუქციულობის იმედი ტყუილად ექნება მანამ, სანამ რეგლამენტს არ წაიკითხავს და შესაბამის წესს არ დაიცავს.

— დაიცავით წესი და მერე მოუწოდეთ კონსტრუქციულობისკენ. წესის დარღვევით გაკეთებული ინიციატივა ინიციატივა არ არის, ამიტომ თქვენს ნათქვამს გაგრძელება ვერ მოჰყვება. წაიკითხეთ რეგლამენტი, — მიმართა ბაქრაძემ ბალათურიას.

ბაქრაძის გარდა, გუშინ დეპუტატმა რეპლიკები სხვებსაც დასტყუა. ოპოზიციონერის აქტიურობა, ბუნებრივია, ჰიპერაქტიურმა დეპუტატმა ნუგზარ წიკლაურმაც შეაფასა, რომელიც ბიძინა ივანიშვილზეა ორიენტირებული, გუშინ კი თავი, როგორც ბალათურიოლოგმა, ისე გამოავლინა, თუმცა, ვერც ივანიშვილს აუარა გვერდი.

წიკლაურს ბალათურიასთან ერთად ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ შემოეკრიტიკა. ნაციონალი დეპუტატი „ერთობა სამართლიანობისთვის“ აქტიურობას ბიძინა ივანიშვილის ჭრილში განიხილავს.

— ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისთვის“ აღტყინებული გამოსვლები ბიძინა ივანიშვილის კარზე მათი სამარცხვინო მომლოდინე რეჟიმის ბრალია, — დაასკვნა წიკლაურმა.

პარლამენტის მთავარმა ბიძინოლოგმა არც ირონია დაინანა და დიმიტრი ლორთქიფანიძის ფრაქციის თავკაცად არჩევაც შეაფასა. ცნობისათვის, ამიერიდან ფრაქციას „ერთობა სამართლიანობისთვის“ დიმიტრი ლორთქიფანიძე უხელმძღვანელებს. მან ამ პოსტზე გია ცაგარეიშვილი შეცვალა. ამ ფრაქციაში ასეთი წესია, რომ თავმჯდომარეობა მორიგეობით უწევთ იქ შემავალ პირებს.

— დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე 14 თებერვალს ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე გახდა, ხოლო ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას პეტრე მამრაძის ხელმოწერა „ამშვენებს“. მამრაძის ხელმოწერა კარგი ლოცვა-კურთხევაა დიმიტრი ლორთქიფანიძის შემდგომი პოლიტიკური საქმიანობისა. ამ ფრაქციის ეგზალტირებული და აზბოქრებული გამოსვლები, ნაკლებად სავარაუდოა, ფრაქციას ან ზოგადად პარლამენტარიზმს რამეს სძენდეს. ბატონო ჯონდი, ისეთივე მაღალი რომ ყოფილიყავით, როგორიც — თქვენი ხმის ტემბრი, თქვენი ფრაქცია არ აღმოჩნდებოდა სამარცხვინო მომლოდინე მდგომარეობაში, რათა რაღაც მოიპოვოთ იმ ძალიან ცნობილი შუშის სასახლიდან, რომელსაც ასე ეტრფით თქვენ და ამით არის გამოწვეული ბევრი უპასუხისმგებლო განცხადება თქვენი მხრიდან, — განაცხადა წიკლაურმა.

ბალათურიას გვერდი ვერც მიშა მაჭავარიანმა აუარა. ან როგორ აუვლიდა, როცა ოპოზიციონერმა ნაციონალებს მაზოლზე იგივე კოჟრზე დაადგა ფეხი.

ამ დღეებში სოციალურ ქსელებში კიდევ ერთხელ დაიდო იმ პოლიტიკოსების სია, რომლებმაც აგვისტოს ომის დროს საქართველოდან დაძუძგეს. ზოგიერთი მათგანი პეკინში იყო ოლიმპიადაზე, ზოგი კი წითელი ხიდის გავლით აზერბაიჯანის ტერიტორიას აფარებდა თავს.

დაზუსტებული ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტის რამდენიმე წევრი ომის დროს აზერბაიჯანის ოლიმპიურ კომპლექსს აფარებდა თავს, ეტყობა, სიმბოლურად, იმ დროს ხომ ოლიმპიადა ტარდებოდა.

ეს ამბავი საქართველოში ყველამ კარგად იცის. ამასთან, გაქცეულთა სიებიც არსებობს, რომლის გამომზეურებასაც ხელისუფლება არ აპირებს. აბეზარმა ბალათურიამ კი დაიჟინა, გინდა თუ არა, აღიარეთ, ვინ რომელი მიმართულებით და რა სიჩქარით გარბოდითო.

— მოვითხოვ უმრავლესობის იმ წევრთა სიის გასაჯაროებას, რომლებიც 2008 წლის აგვისტოში წითელი ხიდიდან საკუთარი ქონების გადასარჩენად გარბოდნენ. მე მაგ დროს გორში ვიყავი, ზოგიერთი კი წითელი ხიდიდან გარბოდა, — აღნიშნა ამაყად ჯონდი ბალათურიამ.

მის ამ განცხადებას დარბაზში ხმაური და ყვირილი მოჰყვა.

— გორში არ იყავი, ალბათ, კატლეტებს ჭამდი, — უყვიროდნენ უმრავლესობის წევრები.

ამაზე უკვე ბალათურია გადაირია და ყვირილი დაიწყო, თან მენიჩბესავით იქნევდა ხელებს.

ეს ჩხუბი ტრადიციული ქართული გინების ფონზე მიმდინარეობდა. სხდომა იმ მომენტისთვის მაჭავარიანს მიჰყავდა. მან კოლეგებს სიწყნარისაკენ მოუწოდა. მაჭავარიანი ითხოვდა, კოლეგებს უცენზურო სიტყვები არ ეხმარათ.

ჩხუბის ეშხში შესულმა დეპუტატებმა ვიცე-სპიკერის შეგონება ყურად არ იღეს. დარბაზში ისევ მრავალფეროვანი გინება ისმოდა, ასევე შეინიშნებოდა ხელების ქნევა,

სხდომის წამყვანმა კი რატომღაც ბალათურიას მოძრაობები დააფიქსირა.

— თითებს ნუ იქნევ, სადაც გაგსვლია, იქ იქნიე! — უყვირა ბალათურიას მაჭავარიანმა.

ოპოზიციონერ დეპუტატს მაჭავარიანის მოწოდებაზე რეაქცია არ ჰქონია და ისევ უქნევდა ხელებს.

დარბაზში მიმდინარე პროცესებს ოლიმპიური სიმშვიდით ადევნებდნენ თვალს ჩხუბს მონატრებული მანდატურები, რომლებმაც ეს ალიაქოთი სერიოზულადაც კი არ აღიქვეს. მათ ამ დარბაზში ისეთი ჩხუბები აქვთ გადატანილი, გუშინდელი მათთან რა მოსატანია.

მანდატურების სიმშვიდემ მაჭავარიანი ააღელვა და ახლა მათ დაუწყო ჩხუბი.

— მანდატურებო, რას დადიხართ გაეროს დამკვირვებლებივით?! მოჰკიდეთ ხელი და დარბაზიდან გაიყვანეთ ბალათურია! — მიმართა მანდატურებს მაჭავარიანმა,

რომელმაც თავი ამ დროს, ალბათ, გაეროს გენერალურ მდივან ბუტროს ბუტროს გალიდ წარმოიდგინა.

მანდატურებს ბალათურია გარეთ არ გაუყვანიათ. ისინი, უბრალოდ, მის დაწყნარებას ცდილობდნენ და ბოლოს დააწყნარეს კიდევაც.

# აზიზიეს მეჩეთის გამო საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

## რამდენი კანონი მიიღეს დეპუტატებმა საგაზაფხულო სესიის პირველ სხდომაზე

შალვა ჯოხაძე

**პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველი დებატები საკმაოდ სათუთ თემაზე წარიმართა, თანაც — ხმაურიანად. ალბათ, არავინ ელოდა, რომ ამ საარჩევნო წლის პირველი საპარლამენტო სხდომა აზიზიეს მეჩეთის დაგეგმილი მშენებლობისა და მეზობელი თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენის საკითხით გაიხსნებოდა. თუმცა, ჩვენს დეპუტატებს რას გაუგებ! ისინი მიკროფონებთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ხელისუფლების მოქმედებას ან აკრიტიკებდნენ, ან აქებდნენ. მაქებართა შორის რომ მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები იქნებოდნენ, ალბათ, ამის გამოცნობა არცთუ ძნელი საქმეა. კრიტიკას რაც შეეხება, პირველი სიტყვა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა, ქრისტიან-დემოკრატმა გიორგი თარგამაძემ წარმოთქვა.**



სანამ თარგამაძისა თუ მისი კოლეგების განცხადებებზე გადავიდოდეთ, მოკლედ შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და თურქეთის ხელისუფლებების შეთანხმების მიხედვით, ოშკისა და იშხნის რეაბილიტაციის სანაცვლოდ ბათუმში აზიზიეს მეჩეთი აშენდება, ახალციხეში კი ახმედის კომპლექსის რესტავრაცია მოხდება.

ამ თემაზე თავდაპირველად გიორგი თარგამაძემ აღნიშნა, რომ თურქეთთან პრეტენზია სულაც არა აქვს და, პირიქით, ამ ქვეყნის მადლიერია.

— მინდა, პატივისცემა გამოვხატო თურქეთის მიმართ იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც საქართველოს ახალი დამოუკიდებლობის ისტორიაში თანმიმდევრულად იჩენს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ყველა თურქ პოლიტიკოსს, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. ჩემი კრიტიკა უკავშირდება არა მათ, არამედ საქართველოს ხელისუფლების პოზიციას.

მთავარია, საქართველოს ხელისუფლება რა დამოკიდებულებს იჩენს, ზოგადად, ამ მოლაპარაკებების შესახებ, — განაცხადა თარგამაძემ.

თარგამაძე ქართულ-თურქულ მხარეებს შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადასარჩენად დაწყებულ მოლაპარაკებებში საქართველოს საპატრიარქოს ჩართვას ითხოვს. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის თქმით, პრობლემაა ის, რომ ამ პროცესში ჩვენი ეკლესია არ არის ჩართული. თარგამაძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საპატრიარქო, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული კონსტიტუციური შეთანხმებისს მიხედვით, ქვეყნის შიგნით და გარეთ დარჩენილი ეკლესიების მეპატრონე და მათზე პასუხისმგებელია. ამ პროცესის შესახებ ინფორმაციის გარკვეული პერიოდულობით უბრალოდ მიწოდება კი საპატრიარქოს მონაწილეობას სულაც არ ნიშნავს. თარგამაძის განცხადებით, საპატრიარქო განსაკუთრებულს არაფერს მოითხოვს, რადგან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებაა და ამაზე საუბარი იუნესკოს მეშვეობით უნდა მიმდინარეობდეს, ხოლო საქართველოს ხელისუფლების პოზიცია სწორედ ამ საერთაშორისო ვალდებულებებში არ ჯდება. ამიტომ გიორგი თარგამაძე ითხოვს, საქართველოს საპატრიარქოს მიეწოდოს სრული ინფორმაცია მოლაპარაკებების ყველა პირობასა და საკითხზე, რათა ეკლესიისა და საპატრიარქოს ინტერესებიც იყოს დაცული.

— არც ბათუმში და არც სხვა რომელიმე რაიონში აღმსარებლობის თვალსაზრისით პრობლემები არ არსებობს. არსებობს მოქმედი საკულტო ნაგებობები, რომლებშიც სრულდება შესაბამისი პროცედურები, მაგრამ ის ვალდებულებები, რომლის აღებასაც საქართველო ცდილობს, მიგვაჩნია, რომ არის პრობლემატური, რადგან საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს საზღვრის გადაკვეთის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, უხერხულობა და პრობლემები ექმნებათ, თუკი სასულიერო ტანისამოსით გადავლენ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე. მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, იყოს ადეკვატური, — აცხადებს თარგამაძე.

— ამიტომ, მოვითხოვთ, საპატრიარქო ჩართული იყოს პროცესში, მიეწოდოს სრული ინფორმაცია ყველა პირობაზე, ყველა საკითხზე და ქვეყანაში საპატრიარქოსა და ეკლესიის ინტერესები იყოს დაცული. არც ერთ ჩვენს მორწმუნეს და არც მაჰმადიანს არა აქვს და არ ექნება პრობლემა აღმსარებლობისა არცერთ რაიონში. არის მოქმედი საკულტო ნაგებობები, სადაც დადიან ადამიანები და სრულდება იქ შესაბამისი პროცედურები. მაგრამ სანაცვლოდ რასაც ჩვენ ვიღებთ, პრობლემაა მაშინ, როცა ეკლესიის წარმომადგენლებს მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე გადასვლისას დაბრკოლებები ექმნებათ. ამიტომ მოვუწოდებ ხელისუფლებას, იყოს ადეკვატური, — განაცხადა თარგამაძემ.

გიორგი თარგამაძის მიერ წამოჭრილი თემა „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბალათურიამაც განავრცო, თუმცა, ის გაცილებით რადიკალური იყო თავის გამოსვლაში. ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრის, „ქართული დასის“ ლიდერის, ჯონდი ბალათურიას მოსაზრებით, მეჩეთს მოჰყვება მედრესი — სკოლა, რომელიც თურქული იდეოლოგიის გამტარებელი იქნება. მისი თქმით, წარსულში აზიზიეს ტაძრის აშენება თურქეთის ბატონობის სიმბოლო იყო და საინტერესოა, დღეს რის სიმბოლოდ შენდება? დეპუტატი დასძენს, რომ სახეზეა თურქეთის პოლიტიკური და იდეოლოგიური შტურმი, თურქები აჭარაში ყველა ბიზნესს ფლობენ, უკვე 150 მეჩეთი აშენდა, ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით კი სააკაშვილს უპასუხისმგებლო და კაპიტულანტური პოზიცია აქვს.

საპარლამენტო უმრავლესობას აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით ოპოზიციის მიერ გამოთქმული კრიტიკა უკულტურობად და უპასუხისმგებლობად მიაჩნია. გიორგი გაბაშვილის თქმით, ჯონდი ბალათურია ისე ითხოვდა მიკროფონთან მისვლას, მას ეგონა, „რაღაც სერიოზული“ ჰქონდა სათქმელი.

— უკულტურობა და ქსენოფობიაა ლაპარაკი რაღაც თურქულ ექსპანსიასა და გამოგონილ საფრთხეებზე

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# 47 წლის პატიმარი გარდაიცვალა

## რატომ არ მოქმედებს კანონი სიკვდილის პირას მყოფი პატიმრებისთვის

შალვა ჯოხაძე

**ქართულ ციხეში კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა და ამის მიზეზი, სამწუხაროდ, კვლავ ის პოლიტიკაა, რომელსაც სასჯელაღსრულების სამინისტრო ატარებს. ადამიანის უფლებათა დამცველები დიდი ხანია ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ საქართველოში მძიმე ავადმყოფი პატიმრებისათვის სასჯელის გადავადების ან ვადაზე ადრე გათავისუფლების პრაქტიკა არ მოქმედებს. არადა, კანონის თანახმად, მომაკვდავ პატიმარს უფლება აქვს, გათავისუფლება მოითხოვოს და სული მშვიდად მაინც დალიოს.**



გუშინ ორგანიზაცია „ახალგაზრდები სამართლიანობისათვის – საქართველომ“ მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმრის, ზაზა გიგაურის სასჯელისაგან გათავისუფლება მოითხოვა. ეს მოთხოვნა დილით დაკეთდა, დღის მეორე ნახევარში კი გაირკვა, რომ 47 წლის პატიმარი უკვე გარდაიცვალა. გიგაურს 25-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, საიდანაც 20 წელი მოიხადა.

ზაზა გიგაურის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ის ვერ იღებდა საკვებს და სასმელს, ვერ მეტყველებდა, ვერ გადაადგილდებოდა. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ასეთ პატიმარს სასჯელისაგან გათავისუფლება ეკუთვნის, რადგან ის საზოგადოებისთვის რაიმე საშიშროებას უკვე არ წარმოადგენს.

– სახელმწიფოს მხრიდან, მომაკვდავი პატიმრის ციხეში გაჩერება და მისთვის სიცოცხლის უკანასკნელი საათების ახლობლების გარემოცვაში გატარებაზე უარის თქმა სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა.

გიგაური მე-4 სტადიის ავთვისებიანი სიმსივნით იყო დაავადებული. მეტასტაზები ფილტვებში, ღვიძლში, ლიმფურ კვანძებსა და ძვლებში იყო გასული...ზაზა გიგაურის ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება დაიწყო 2009 წელს, როდესაც მას წონაში კლება და გულმკერდის არეში ტკივილი დაეწყო. მიუხედავად ამისა, მას გამოკვლევა მხოლოდ ტუბერკულიოზზე ჩაუტარდა. 2011 წლამდე მსჯავრდებულის ჩივილები მძიმდებოდა, თუმცა სასჯელაღსრულების დაწესებულებამ არაფერი მოიმოქმედა, რათა სათანადოდ გამოეკვლია მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა, დაედგინა დიაგნოზი და უზრუნველეყო შესაბამისი მკურნალობით. შედეგად ზაზა გიგაურის დაავადებამ მიაღწია მე-4 სტადიას და არ დაუტოვა მას გადარჩენის შესაძლებლობა.

სასჯელაღსრულების დაწესებულების გულგრილი დამოკიდებულებით დაზარალებულ ზაზა გიგაურს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს და საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივმა მუდმივმოქმედმა კომისიამ არ უზრუნველყო მომაკვდავი პატიმრის გათავისუფლება, – განაცხადეს „ახალგაზრდები სამართლიანობისათვის – საქართველოს“ წარმომადგენლებმა.

ორგანიზაციამ ამაოდ მოუწოდა კომისიის თავმჯდომარეს, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს, ირაკლი გიორგობიანს დაუყოვნებლივ მიეღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები ზაზა გიგაურის სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გლდანის სამკურნალო დაწესებულებაში ზაზა გიგაური გუშინვე გარდაიცვალა.

არასამთავრობო ორგანიზაციამ სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ჯერ კიდევ 8 თებერვალს მიმართა და მსჯავრდებულის გათავისუფლება მოითხოვა. პატიმრის და, ელენე გიგაური ითხოვდა, რომ ზაზას სიცოცხლის უკანასკნელი წუთები ოჯახთან ერთად გაეტარებინა. ელენე გიგაურის მოთხოვნა უსაფუძვლო სულაც არ ყოფილა, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის სპეციალური ბრძანება იმ დაავადებათა ჩამონათვალს განსაზღვრავს, რომელიც პატიმრობიდან გათავისუფლების საფუძველია, მათ შორისაა „ნებისმიერი ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნე, თუ ის IV კლინიკური ჯგუფის კატეგორიას შეესაბამება“. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სასჯელაღსრულების უწყებამ პატიმრისა და მისი ახლობლების თხოვნა ყურად არ იღო.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით, პერმანენტულად საუბრობს სახალხო დამცველიც.

– ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გარდაცვლილ პატიმართა დიდ ნაწილს დადგენილი ჰქონდა მძიმე და განუკურნებელი დაავადების დიაგნოზი (ავთვისებიანი სიმსივნეების ტერმინალური სტადია, ვირუსული ჰეპატიტის გამო განვითარებული პორტული ჰიპერტენზია ენცეფალოპათიით, სისხლდენითა და ასციტით, აივ-ინფექცია შიდსის ტერმინალური სტადია, ტუბერკულოზის შორსწასული ფორმა, მათ შორის, მულტირეზისტენტული და ექსტრაპულმონური ფორმების კომბინაცია, გულსისხლძარღვთა სისტემის მძიმე და შეუქცევადი პათოლოგიების შორსწასული ფორმები და ა.შ.). მიუხედავად ამისა, ამ პატიმართა მიმართ სასჯელის გადავადების ან ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხი არ დასმულა. ცალკე უნდა აღინიშნოს ის შეუფერებელი პირობები და საშუალებები, რომლებშიც ხორციელდებოდა იმ პაციენტთა მკურნალობა და მოვლა, რომელთათვისაც შეუთავსებელია ხანგრძლივი პატიმრობა.

თითოეული ასეთი შემთხვევა უნდა შეფასდეს, როგორც არაჰუმანური მოპყრობა და პასუხისმგებლობა ამ საკითხზე უნდა დაეკისროს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო პროფილის პერსონალს. სამწუხაროდ, ამ საკითხს წლიდან წლამდე ყურადღება არ ექცევა, მაშინ, როცა საუბარია წარმატებულ ჯანდაცვის რეფორმაზე და მის გაურკვეველ შედეგებზე, რომლის შეფასებაც არ ეფუძნება სამედიცინო კლასიფიკატორებს და არ ასახავს რეალურ მდგომარეობას, – განაცხადა გიორგი ტუღუშმა ერთ-ერთ ბოლო ანგარიშში.

# აზიზიეს მეჩეთის გამო საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

საქართველოსთვის, რადგან საქართველო მულტიკულტურული და მულტიკონფესიური ქვეყანაა.

საქართველო არის სახელმწიფო, რომელიც თანაბრად სცემს პატივს ყველა კონფესიას და, როგორც კონსტიტუციაშია, პირველ რიგში, ის ზრუნავს იმ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე, რომელიც მართლმადიდებელმა ეკლესიამ შექმნა საქართველოში და სწორედ ამიტომ 400-ზე მეტი ძეგლი იქნა რეაბილიტირებული, უფრო მეტი, ვიდრე ბოლო 50 წელიწადში, – განაცხადა გაბაშვილმა.

გიორგი გაბაშვილის თქმით, ვერავინ იტყვის, რომ საქართველოს ვალდებულება არ არის ზრუნვა მეჩეთსა და სინაგოგაზე თუ კათოლიკურ ტაძრებზე.

– ესეც ჩვენი ვალდებულებაა, რადგან ჩვენ ცივილიზებულები ვართ, განსხვავებით იმ ადამიანებისგან, რომელთაც საერთოდ არ ესმით, რა არის ცივილიზაცია, – აღნიშნა დეპუტატმა. მისივე თქმით. იმავდროულად, საქართველოს ვალდებულებაა ზრუნვა იშხანზე, ოშკზე, ხანძთაზე, რადგან ამ ძეგლებმა შექმნეს კულტურული სულიერება და მისი გაფრთხილება საქართველოს ისტორიული მისიაა.

რაც შეეხება ახმედის კომპლექსს ახალციხეში, გაბაშვილის თქმით, ეს არის მოქმედი მეჩეთი და არ მიმდინარეობს ახალი მეჩეთის მშენებლობა. მისი მოვლა-პატრონობა კი საქართველოს ვალდებულებაა.

რაც შეეხება აზიზიეს მეჩეთს, გაბაშვილის თქმით, მისი მშენებლობაც საქართველოს ვალდებულებაა. აქ საუბარია ხის მეჩეთზე, რომელიც ბათუმში აშენდება.

– ნებისმიერი სხვაგვარი მიდგომა ამ საკითხისადმი არის უბრალოდ არაცივილიზებული და ასევე უარყოფა და დავიწყება იმისა, რომ როგორ ვერ გადაიტანა ხანძთამ თოვლიანი ზამთარი და ასევე ოშკიც ვერ გადაიტანს. დემაგოგია და თქვენი კოლეგების ერთწამიანი პოპულარობა არ არის ქართველი კაცის საქციელი, – მიმართა გაბაშვილმა ოპოზიციონერ კოლეგებს.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური კი მიიჩნევს, რომ მეჩეთებთან დაკავშირებით პრობლემა არა არაინფორმირებულობა, არამედ პრინციპული დაპირისპირებაა.

წიკლაურის თქმით, 800 წელია ქართველ კაცს არ ჰქონდა შესაძლებლობა, თურქეთში ტაძრებისთვის მიეხედა.

– ჩვენ ვიცოდით, რომ ყველაზე მეტყველი ძეგლები იყო თურქეთის ტერიტორიაზე, მაგრამ არ შეგვეძლო მათი პატრონობა. მაგრამ დღეს ახალი ვითარებაა, ახალი ისტორია იწერება და საქართველომ 2006 წლიდან თურქეთთან მოლაპარაკებები დაიწყო ქართული ტაძრების აღსადგენად, – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

წიკლაურის თქმით, საპატრიარქო ამ მოლაპარაკებების მიმდინარეობისას, ისევე, როგორც საზოგადოება, ინფორმირებული იყო. თუმცა, წიკლაურის თქმითვე, საქმე არა არაინფორმირებულობაში, არამედ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ პრობლემაშია.

– ტაძრების აღდგენის დაბლოკვა არის იგივე, რომ ადამიანმა ულტიმატუმი წაუყენოს ოშკს, ხანძთას.

იმის გამო, რომ მუდმივად ხდებოდა ამ პროცესის ბლოკირება, დღეს ხანძთის გუმბათის კოლაფსია. რომელი თქვენგანი აგებს პასუხს, რომ ხვალ იგივე ბედი გაიზიარონ სხვა ქართულმა ძეგლებმა? ნუთუ იმდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის პოლიტიკური ქულები, რომ ეს ძეგლები გაიმეტოთ? – განაცხადა წიკლაურმა და მხარდაჭერა გამოუცხადა ყველა იმ უწყებას, რომლებიც თურქეთთან ხელშეკრულების დადებასა და ეკლესიების აღდგენაში არიან ჩართულნი.

აზიზიეს მეჩეთის საკითხი ერთადერთი არ იყო, რაც საკმაოდ მოკლე დროში დეპუტატებმა განიხილეს. იყო ბევრი პრეტენზია ხელისუფლების მიმართ და ბევრი პასუხიც უმრავლესობის წევრებისაგან.

„ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელმა მაგდა ანიკაშვილმა პლენარულ სხდომაზე სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისთვის დავალიანების გასტუმრება მოითხოვა, რაც, მისი შეფასებით, ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და პრივატიზაციის პროცესს უკავშირდება. მაგდა ანიკაშვილის განცხადებით, უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც ამ საკითხზე იმუშავებს, მონაცემებს შეაგროვებს და რეგიონებში არსებულ პრობლემებს შეისწავლის.

დევნილების პრობლემებზე ისაუბრა პლენარულ სხდომაზე საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანმა. მან დევნილების სოციალური პირობების გაუმჯობესება მოითხოვა.

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ წევრმა დეპუტატმა გურამ ჩახვაძემ მთავრობას ფერმერების დახმარებისკენ მოუწოდა.

– სოფლად საგაზაფხულო სამუშაოები მალე დაიწყება და პარლამენტმა უნდა მოისმინოს მთავრობის ინფორმაცია, თუ რას გეგმავს ის აგრარულ სექტორში, – განაცხადა გურამ ჩახვაძემ.

უმრავლესობის წევრმა გიორგი გაბაშვილმა მომავალი საპარლამენტო არჩევნების თემაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარების ყველაზე მეტად ოპოზიციას ეშინია, რადგან ძალიან კარგად იცის რეალობა და ფულიანი პატრონების რეიტინგი.



– ოპოზიციამ ძალიან კარგად იცის, თუ როგორ დასრულდება დემოკრატიული არჩევნები. საქართველოში თავისუფალი არჩევნები აუცილებლად შედგება და მას ქართველი ხალხიც და საერთაშორისო დამკვირვებლებიც ადეკვატურად შეაფასებენ, – განაცხადა გიორგი გაბაშვილმა.

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე დიმიტრი ლორთქიფანიძემ პარლამენტს საარჩევნო კოდექსისა და პოლიტიკური პარტიების მონიტორინგთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვისკენ მოუწოდა.

– დღევანდელი რედაქციით, ვითომ რეფორმირებული საარჩევნო კოდექსი, რომელიც უმრავლესობამ და უმცირესობამ კონსენსუსის გზით მიიღეს, წინანდელზე ბევრად უარესია და ვერ უზრუნველყოფს არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას, – განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

„ევროპელი დემოკრატების“ ლიდერმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ქვედანაყოფების განლაგებასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო უწყებას მკვეთრი რეაგირებისკენ მოუწოდა. დავითაიას თქმით, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე სპეცდანიშნულების ოთხი ქვედანაყოფი იქმნება, რომელიც გალსა და ოჩამჩირეში განლაგდება.

– აღნიშნული ქვედანაყოფები შეტევითი ქმედებებისთვის არის გათვალისწინებული. საგარეო უწყებას ვთხოვ, მოახდინოს მკვეთრი რეაგირება, მიიღოს განცხადება და მოახდინოს საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირება, – განაცხადა პაატა დავითაიამ.

დებატების დასრულების შემდეგ პლენარულ სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული კანონპროექტები განიხილეს და კენჭი უყარეს.

პირველი მოსმენით მიიღო პარლამენტმა ცვლილებები „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული ცვლილებები ყაზბეგის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე ჰიდროენერგეტიკული პროექტის განხორციელებითაა გამოწვეული. ასევე პირველი მოსმენით დაამტკიცა პარლამენტმა ცვლილებები „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები, რომელიც არეგულირებს გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებთან დაკავშირებულ საკითხებს. სამედიცინო დაწესებულებების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებზე რეაგირების მიზნით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებები პარლამენტმა ასევე პირველი მოსმენით მიიღო.

პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომა პარასკევს, 17 თებერვალს, 12 საათზე გაიმართება.

# გაგვიღებს თუ არა ნატო კარს

ნათია ხურცილავა

**ჯეიმს აპატურაიმ, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სპეციალურმა წარმომადგენელმა, ჩიკაგოს სამიტის წინ, შეიძლება ითქვას, ყველასათვის მოულოდნელი განცხადება გააკეთა.**

ჯეიმს აპატურაის განცხადებით, საქართველოს ნატოში გაწევრიანება უკვე გადაწყვეტილია.

საინფორმაციო სააგენტო რეგნუმის ცნობით, აპატურაიმ ამის შესახებ სომხური საზოგადოებრივი ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ჯეიმს აპატურაიმ ყველასთვის მოულოდნელი განცხადება, ნატოს ჩიკაგოს სამიტამდე რამდენიმე ხნით ადრე გააკეთა.

რამდენად რეალური შეიძლება იყოს საქართველოს ნატოში გაწევრიანება ჩიკაგოს სამიტზე?

ცნობილია, რომ ჩიკაგოს სამიტი არ მიეძღვნება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებას.

ჩიკაგოს ნატოს წლევანდელი სამიტი უსაფრთხოების პრობლემებს განიხილავს და არ იქნება მსჯელობა გაფართოებაზე.

რაც შეეხება ნატოში გაწევრიანების საკითხს, ცნობილია, რომ ეს მხოლოდ კონსენსუსის გზით ხდება. ნატოს ყველა წევრი ქვეყნის გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს ახალი ქვეყნის მიღება.

ბუქარესტის სამიტზე საქართველოს მაპი-ს მიღებაზე უარი საფრანგეთმა და გერმანიამ უთხრა.

ჯეიმს აპატურაი თავის ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება სურს და მნიშვნელოვან რეფორმებს ატარებს, რათა ნატოს სტანდარტებს დაუახლოვდეს.

რაც შეეხება ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს,




აპატურაის განცხადებით, ამ ქვეყნებს ნატოში გაწევრიანების სურვილი ჯერ არ გამოუთქვამთ.

— ჩვენ, რა თქმა უნდა, ახალ წევრებს მივესლმებით. ჩვენ კარგი პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს სომხეთსა და აზერბაიჯანთან, — აცხადებს აპატურაი.

აპატურაის განცხადებით, კავკასიის ქვეყნებთან ალიანსი განსხვავებული პროგრამებით თანამშრომლობს და რეგიონი არ არის მიჩვეული, როგორც ერთ მთლიანობას.

ნატოს წარმომადგენლის განცხადებას სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე გამოეხმაურა.

—საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება რომ გადაწყვეტილი საკითხია, ეს ბუქარესტის სამიტიდან მოყოლებული ძალაშია, — ამბობს ბარამიძე. მისი თქმით, ნატო-მ თავის სამიტებზე ამის შესახებ განცხადება ოთხჯერ გააკეთა. აპატურაის დღევანდელი სიტყვები კი უბრალოდ მიღებული გადაწყვეტილების გამეორება და კონსტატაციაა.

გიორგი ბარამიძე:

— რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ყოველ ჯერზე ამ გადაწყვეტილებას გაესვას ხაზი. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ არა მხოლოდ გადაწყვეტილებაა მიღებული, არამედ ჩვენ გვაქვს სერიოზული პროგრესი ყოველწლიურად ნატოში გაწევრიანების გზაზე. ის რეფორმები, რომელიც საქართველომ განახორციელა, ასახულია ნატო-ს გადაწყვეტილებებსა და კომუნიკეებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საქართველოში ვიზიტისას, რომელმაც აღნიშნა, რომ დღეს საქართველო უფრო ახლო არის ნატო-სთან. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ ნატოში გაწევრიანების გზაზე, მაგრამ ჩვენ მოველით ამ პროცესის დაჩქარებას და კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას, რათა საქართველოს ნატოში გაწევრიანება რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს.

—რაც შეეხება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს...

— საქართველო ნატოს წევრი მთლიანად გახდება, ისე, როგორც ეს არის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. რუსეთს სწორედ უნდოდა ის, რომ აგრესიით, რომელიც მან განახორციელა 2008 წელს, საქართველოს ნატოს გზიდან გადაეხვია და არ დაეშვა საქართველოს ნატოში გაწევრიანება, რაც აშკარაა, რომ არ გამოუვიდა. აპატურაის ამ განცხადებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სწორედ რუსეთის არასწორი ქმედების უნაყოფობას. ეს განცხადება არის ხაზგასმა იმის, რომ რუსეთმა თავის მიზნებს ვერ მიაღწია და საქართველო მიუხედავად ყველაფრისა, წარმატებული რეფორმის გამო ნატოს გაწევრიანების გზაზე წინ მიიწევს.

ბარამიძის განცხადებით, ნატოში ინტეგრაციის საკითხი უკვე გადაწყვეტილია და ოთხჯერ დადასტურებულია ნატო-ს სამიტების დეკლარაციებში.

— 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, ჩიკაგოს სამიტზეც იგივე განმეორდება, თუმცა ჩვენ მოველით ამ პროცესის დაჩქარებას და კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას, რათა ის მომენტი, როცა საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, რაც შეიძლება დავაჩქაროთ,— აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.

ბარამიძემ კომენტარი ასევე გააკეთა ისრაელის საელჩოსთან მომხდარ აფეთქებაზე.

— ავტომანქანა, რომელშიც ქართველმა სამართალდამცავებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს, ისრაელის საელჩოს არ ეკუთვნოდა. ავტომანქანა კერძო პირის კუთვნილება იყო, რომელიც ისრაელის საელჩოში მუშაობს. მე ვერ ვხედავ ჩვენს ქვეყანაში ვერანაირ საფუძველს განსაკუთრებული შეშფოთების, — აღნიშნა ბარამიძემ.

გიორგი ბარამიძეს დელიში მომხდარ ფაქტთან პარალელის გავლება დაუშვებლად მიაჩნია.

— კეთდებოდა პარალელები დელიში მომხდარ აფეთქებასთან, თუმცა ეს ორი სხვადასხვა ფაქტია და ამას სპეციალისტები გაარკვევენ. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული შეშფოთების საფუძველი ჩვენს მოქალაქეებს არ უნდა ჰქონდეთ“, — აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.

13 თებერვალს ინდოეთში ისრაელის საელჩოს თანამშრომლის ავტომობილში ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა, რის შედეგადაც ერთ-ერთი დიპლომატის მეუღლე დაიჭრა.

იმავე დღეს, თბილისში, ისრაელის საელჩოს მძღოლის პირად ავტომობილში ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დროულად გააუვნებელყო. ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

მომხდარს იმავე დღეს გამოეხმაურა ისრაელის პრემიერი, ბენიამინ ნეთანიაჰუ. მან თავდასხმების ორგანიზებაში მოძრაობა „ჰესბოლა“ და ირანი დაადანაშაულა.

ირანის საგარეო საქმეთა წარმომადგენლებმა ისრაელის ბრალდებები უარყვეს.

# გილაური საავტომობილო გზების მდგომარეობით დაინტერესდა

ნათია ხურცილავა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ნიკა გილაური საქართველოს მასშტაბით გზებისა და ელექტრომომარაგების კუთხით არსებული მდგომარეობით დაინტერესდა. როგორც მთავრობის სხდომის დაწყებამდე ნიკა გილაურმა აღნიშნა, სინოპტიკოსების პროგნოზით, ორ-სამ დღეში ამინდი ისევ აირევა და ოპერატიული სამუშაოები იქნება გასაგრძელებელი.

საავტომობილო გზებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია პრემიერ-მინისტრმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრისგან მოისმინა.

თი მსგავსი პრობლემა არ შეგვექმნას და უფრო ოპერატიულად იყოს პრობლემები გადაწყვეტილი, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ნიკა გილაური ელექტრომომარაგების მხრივ არსებული პრობლემებითაც დაინტერესდა და ინფორმაცია ენერგეტიკის მინისტრისგან მიიღო.

როგორც ალექსანდრე ხეთაგურმა აღნიშნა, პრობლემური მონაკვეთები იყო მაღალმთიანი აჭარა და წალენჯიხის რაიონი, ასევე გათიშვები იყო მესტიის რამდენიმე სოფელშიც.

— ამ დროისთვის თითქმის სრული დატვირთვით ჩართული გვაქვს ყველა რეგიონი და საქართველოს მასშტაბით



დაახლოებით 3000-მდე აბონენტია გათიშული, რაც აბონენტთა 0.2 პროცენტია. შესაძლო პრობლემების შემთხვევაში, მობილიზებული ვართ და 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განვაგრძობთ, — აღნიშნა ხეთაგურმა.

პრემიერ-მინისტრმა ენერგეტიკის სამინისტროს საგანგებო რეჟიმში მუშაობისთვის ასევე მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სამინისტროს შესაბამისი სამსახურების თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად, ზვავისგან წაქცეული ანძები მოკლე პერიოდში აღდგა.

— თუმცა, ზამთარი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და ჩვენს სამსახურებს საგანგებო რეჟიმში მუშაობა ისევ მოუწევთ, რისთვისაც მზად უნდა ვიყოთ, — განაცხადა ნიკა გილაურმა.

მთავრობის სხდომზე მინისტრთა კაბინეტში დღის წესრიგით გათვალისწინებული 61 საკითხი განიხილეს.

**რამაზ ნიკოლაიშვილი:**

— საკმაოდ მძიმე კვირა გვქონდა. ბოლო დღეების განმავლობაში ყინვა 10 გრადუსამდე იყო. შეფერხება რამდენიმე საათით იყო, მაგრამ მდგომარეობა გამოსწორდა. ჩვენი სამსახური 24 საათიან რეჟიმში მუშაობს. დამატებით ტექნიკა დავამატეთ. ყველა გზა განთავისუფლებულია, მათ შორის კობი-გუდაურის მიმართულებით. პრეზიდენტის დავალებით, მომავალი წლისთვის დამატებითი ტექნიკის შეძენაა გათვალისწინებული, რომ შეფერხებები, რაც იყო, შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე დავიყვანოთ. თოვლის ნალექს შემდეგი ორი დღისთვისაც ველოდებით, მაგრამ ჩვენ მუშაობის 24 საათიანი რეჟიმი არ მოგვიხსნია.

როგორც რამაზ ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, საგზაო დეპარტამენტს მძიმე კვირა ჰქონდა. განსაკუთრებული პრობლემები იყო შექმნილი კობი-გუდაურისა და ახალქალაქის მიმართულებით, თუმცა 24-საათიან რეჟიმში მუშაობის შედეგად შეფერხებები რამდენიმე საათში სწორდებოდა.

— 520 ერთეული ტექნიკა დავამატეთ და ცენტრალურ მაგისტრალებზე შეფერხებები არ გვქონია. კობი-გუდაურის მიმართულება ახლაც გახსნილია და იკეტებოდა მხოლოდ მაშინ, როცა სინოპტიკოსები ზვავსაშიშროების გამო თოვლწმენდითი სამუშაოების ჩატარების საშუალებას არ გვაძლევდნენ. დავამუშავეთ პროგრამა, რომელიც დამატებითი ტექნიკის შეძენის საშუალებას მოგვცემს და მომავალში ამ მიმართულებით უფრო ეფექტურები ვიქნებით, — განაცხადა რამაზ ნიკოლაიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა საგზაო დეპარტამენტს თავდაუზოგავი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და კობი-გუდაურის და სამცხე-ჯავახეთის პრობლემურ მიმართულებებზე დამატებითი ტექნიკის მობილიზება დაავალა.

**ნიკა გილაური:**

— ამ დიდთოვლობამ გვაჩვენა, რომ მეტი ტექნიკის ყოლა უფრო ეფექტური იქნებოდა. მართლაც შეუძლებელი გააკეთა საგზაო დეპარტამენტმა, მაგრამ ბოლო ორმა კვირამ გვაჩვენა, რომ ყველაზე პრობლემური გზა არის კობი-გუდაური და სამცხე—ჯავახეთის გზა. შესაბამისად ამ მიმართულებით ტექნიკის გაძლიერება არის საჭირო. გეგმა არსებობს, რა დამატებითი ტექნიკა არის შესასყიდი იმისთვის, რომ მომავალ ზამთარს არც ერ-

# ისრაელიდან საქართველოში გამომძიებლები ჩამოვლენ

ნათია ხურცილავა

ისრაელის საელჩოს თანამშრომლის მანქანაში ასაფეთქებელი მოწყობილობის აღმოჩენასთან დაკავშირებული საქმის გამოძიება, პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

მანანა მანჯგალაძის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია და მიმდინარეობს გამოძიება.

მანჯგალაძის განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე ამ დროისთვის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია სხვა კომენტარს ვერ გააკეთებს.

—აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. ამის შესახებ განცხადება გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელიც აქტიურად არის ჩართული გამოძიებაში, — აღნიშნა პრეზიდენტის პრესსპიკერმა.

ასაფეთქებელი მოწყობილობა საქართველოში ისრაელის ელჩის მძღოლის, რომან ხაჩატურიანის პირად ავტომანქანაში 13 თებერვალს იპოვეს.

ინდოეთის დედაქალაქში, ისრაელის საელჩოსთან მანქანაში დამონტაჟებული მოწყობილობის აფეთქებისას, ისრაელის



მანანა მანჯგალაძე

დიპლომატიურ უწყებასთან ერთი ადამიანი დაიჭრა.

აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ. მან თბილისსა და დელიში ისრაელის წინააღმდეგ დაგეგმილ შეტევაში დაჯგუფება „ჰესბოლა“ და ირანი დაადანაშაულა. ირანმა აღნიშნული ბრალდებები უარყო და ბრალი თავად ისრაელს დასდო.

გავრცელებული ინფორმაციით თბილისში ისრაელიდან სპეციალური ჯგუფი ჩამოვიდა მომხდარი ფაქტის გამოძიების მიზნით.

# ტელეკომპანია მე-9 არხისთვის განკუთვნილი მოძრავი სატელევიზიო სატელიტური სადგური შეგნებულად დააზიანეს

შპს „იგრიკას“ კუთვნილი სატელევიზიო სადგური, რომლის ღირებულებაც 450 ათასი ევროა, საბაჟო კონტროლის ზონის გავლის შემდეგ დაზიანებული აღმოჩნდა. ინფორმაციას, ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ საშუალებით აქვეყნებს.

ვებ-გვერდის ცნობით, მოძრავი სატელიტური სადგურის საბაჟო კონტროლის ზონიდან გამოყვანის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქარხნის მიერ დადებული ლუქები ახსნილი იყო. მოგვიანებით კი ექსპერტებმა ტვირთის დაზიანების ფაქტიც დაადასტურეს.

„აგრეთვე შეგახსენებთ, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გამიზნულად ზიანდება ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი კომპანიების ტვირთი. შპს „იგრიკას“ კუთვნილი სატელევიზიო სატელიტური სადგურის მწყობრიდან გამოყვანა ხელისუფლების იმ ძალადობრივი პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელსაც ის ქართული მედიის მიმართ ახორციელებს“, — ნათქვამია პრესსამდივნოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ივანიშვილის გვერდი იუწყება, რომ საქართველოში ტვირთის გამოგზავნამდე, გამომშვებმა კომპანიამ და საერთაშორისო კომპანიამ ადგილზე დეტალურად შეამოწმეს შპს „იგრიკას“ კუთვნილი სატელევიზიო სადგური, რა დროსაც ტექნიკა გამართულად მუშაობდა.

პრესსმადივნოს ცნობით, საბაჟო კონტროლი განხორციელდა ცალმხრივად, რაც ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ მოძრავი ტელესადგური დათვალიერებისას შეგნებულად დააზიანეს.

ნიუსპრესი

# ეკა ბესელია: სააკაშვილი ძალაუფლებას კარგავს!“

## ხელისუფლება რეპრესიებს დაიწყებს

გულიკო ბალაძე

**სააკაშვილის ხელისუფლება არა მხოლოდ ბოლო პერიოდში, არამედ ე.წ. ვარდების რევოლუციის დღიდან მოყოლებული დაკავებულია არსებული საკანონმდებლო ბაზის გაუარესებით, გადაკეთებ-გადმოკეთებითა და თავის თავზე მორგებით. ამ გზით მთელ რიგ შეზღუდვებს აწესებენ.**

ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, რომ სააკაშვილი და მისი ჯგუფი პრაქტიკაზე დაკვირვებით არეგულირებენ კანონმდებლობას, შეაქვთ მასში თავიანთთვის სასურველი ცვლილებები კანონმდებლობაში და ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობენ.

ამიტომ კანონმდებლობაში და მით უმეტეს სასამართლოებში არ არის დაცული რეალური შეჯიბრებითობა, რაც მხარეებს არ აძლევს უფლებას, ჰქონდეთ მტკიცებულებების მოპოვებისა და გამოქვეყნების საშუალება, ანუ ჩვენს რეალობაში ამ მხრივ დისბალანსია.

მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე მივაღწიოთ ამ და სხვა ხარვეზების გამოსწორებას. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ასევე, თუ საკანონმდებლო ორგანოს მოვთხოვთ, მაგალითად, იმ მნიშვნელოვანი დოკუმენტის გააზრებასა და მიღებას, რომელიც ადვოკატებმა და ექსპერტებმა შეიმუშავეს ცოტა ხნის წინ და წარედგინება საკანონმდებლო ორგანოს.

თუმცა, ეკა ბესელიას ეჭვი ეპარება, რომ შეთავაზებული ცვლილებების მიღებისა და გათავისების სურვილი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს ჰქონდეთ.

ამის მიუხედავად, ადვოკატი ფიქრობს, რომ შეიძლება საკანონმდებლო ორგანო ფაქტის წინაშე დააყენო.

ისე, მნიშვნელოვანია ის, ღირს თუ არა ამ ხელისუფლებისთვის რაიმე ნორმალური საკანონმდებლო ინიციატივის შეთავაზება და არის თუ არა ხელისუფლება მზად მის მისაღებად.

***— ქალბატონო ეკა, როგორ ფიქრობთ, ამ ხელისუფლებასთან რაიმე ინიციატივის შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის გაუმჯობესებისთვის აზრი აქვს და ნაციონალური მოძრაობის პირობებში მისი გატანა შესაძლებელია?***

— ზოგადად, მე რეალისტურად ვუყურებ ვითარებას, თუმცა, ეჭვი მეპარება, ხელისუფლებამ თავის ჩვეულ ავტორიტარულ გზას გადაუხვიოს.

***— ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს, თავის თავზე მოირგოს კანონები. საზოგადოებისთვის საინტერესოა, მაგალითად, რა არ არის მოსაწონი თქვენთვის, როგორც ადვოკატისთვის ნაციონალურ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც თქვენ ერთ-ერთ შეხვედრაზეც გააკრიტიკეთ.***

— როდესაც პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმ ფორმით მიიღო, რომელიც დღეს არის, ბუნებრივია, იქ ძალიან აშკარად იკითხებოდა, რომ ხელისუფლებას უნდოდა, პროკურატურისა და სასამართლოსთვის მაქსიმალური გარანტიები შეექმნა და თავისი ინტერესები გაეტარებინა. ეს მოხდა დაცვის ანუ ბრალდებულის ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე.

***— როგორ ფიქრობთ, რაში დასჭირდა ხელისუფლებას დაცვის ინტერესების შეზღუდვა და რატომ განახორციელა ცვლილებები ამ მიმართულებით კანონმდებლობაში?***


ეკა ბესელია

— აღნიშნული ცვლილებების განხორციელება კანონმდებლობაში პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, როდესაც დააკნინეს დაცვის უფლებები. ამ ცვლილებებით ადამიანის უფლებები შეილახა. რადგან ეს პოლიტიკური ნება იყო, რეალურად, ისეთი ცვლილებების განხორციელება და ძალთა ბალანსის აღდგენა იმ მუხლებით, რომელსაც, მაგალითად, ადვოკატთა ასოციაციისა და ექსპერტების მიერ შემუშავებული ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს, პოლიტიკური ნების გარეშე არ მოხდება. მას პარლამენტი არ მიიღებს, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა მოვითხოვოთ მისი მიღება. ადვოკატთა ასოციაციამ, რომელიც ყველაზე დიდი გაერთიანებაა, პროფესიულმა კავშირებმა, უფლებადამცველებმა, ჟურნალისტებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ერთობლივად უნდა მოვითხოვოთ, რომ პარლამენტმა ეს ცვლილებები მიიღოს. მათ თავიანთი უფლებამოსილების ძალიან ცოტა დრო აქვთ დარჩენილი, მაგრამ დარჩენილ დროში მათ შეუძლიათ ამ საკითხის შესწავლა და პროექტის მიღება. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ რეალურად პროცესი აგებული იყოს შეჯიბრებითობის პრინციპზე, რათა დაცვის მხარე არ იყოს შეზღუდული, მისი უფლებები არ ილახებოდეს, ხოლო ბრალდების უფლება არ იყოს უსაზღვროდ დიდი. ამავე დროს, ლაპარაკია პროცესის საქვეყნოობაზე, რაც დაცული უნდა იყოს. ის, რომ ადვოკატს არ უშვებ პროცესზე, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, გირგვლიანის გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით გამართულ აქციაზე დაკავებული პირების შემთხვევაში, როცა ადვოკატი ვლადიმერ მაჭარაშვილი მანდატურმა არ შეუშვა სასამართლო დარბაზში და დაცვა არ განახორციელებინეს, ბუნებრივია, დანაშაული იყო. ეს ხდება პოლიტიკური ინტერესიდან გამომდინარე.

***— როგორ წარმოგიდგენიათ ასეთი შემთხვევების თავიდან აცილება?***

— ასეთი შემთხვევები რომ ავირიდოთ, კანონი უნდა შეიცვალოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი შემთხვევები არა მარტო პრაქტიკით დაუშვა ჩვენმა ხელისუფლებამ, არამედ ერთგვარი წამახალისებელი როლიც კი ითამაშა კანონებით, დისკრიმინაციული ნორმების შემოღებით.

როდესაც ჩვენ სასამართლო დარბაზში ვხედავთ მდივანს, რომელიც ოქმს ხელით წერს, ბუნებრივია, იმ ოქმის სანდოობა ეჭვის ქვეშ დგება. ამ დროს, როდესაც დამცველი ეუბნები მოსამართლეს, მომეცით საშუალება, აუდიოწესით დაკითხვის შინაარსი ჩავიწერო, რომ შენ მიერ ხელით ჩაწერილი შეცდომა არ გაიპაროსო, ამაზე მოსამართლე უარს გეუბნება. რა თქმა უნდა, ეს უკანონოა, მით უმეტეს, როცა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზეა საუბარი. ეს იმას ნიშნავს, რომ საპროცესო კანონმდებლობა შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტებთან. აღნიშნული დისბალანსი გამოიწვევს იმას, რომ ძალიან ბევრი საქმე წავა სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ და უმრავლეს მათგანში ევროპის სასამართლო დაინახავს იმ დარღვევებს, რომელიც ევროპული კონვენციით დაცულ უფლებებს უზრუნველყოფს. დარწმუნებული ვარ, საქართველოს სასამართლოებში გამოტანილი განაჩენების 98% ვერ უძლებს იმ სტანდარტს, რომ უტყუარი მტკიცებულებებით დადგინდეს გამამტყუნებელი განაჩენი. ასეთი სტანდარტი დაცული თითქმის არცერთ ჩვენს საქმეში არ არის. ასევე, რაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია, არის ჩხრეკისა და ამოღების უფლება. ადვოკატს უნდა ჰქონდეს კერძო გამოძიების უფლება.

***— ეს უფლება ადრინდელ სსს კოდექსში ხომ იყო?***

— ეს ნორმა ადრინდელ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში იყო, მაგრამ დღეს წაართვეს ადვოკატებს. რეალურად, კერძო გამოძიებას ისინი ვერ ატარებენ. აბა, შეჯიბრებითობა რას ნიშნავს, თუ პროკურორი ყველაფერს აკეთებს გამოძიების ეტაპზე, ხოლო ადვოკატს ეს უფლებები შეზღუდული აქვს და დამოკიდებულია იმაზე, პროკურორი დასკვნას მოიპოვებს თუ არა? ეს არ არის შეჯიბრებითობა. ასევე ევროპის ყველა ქვეყანაში უცხოელი ადვოკატი ერთვება სისხლის სამართლის საქმეში, როცა ამას ითხოვს დაკავებული პირი. ჩვენთან ეს უფლება გვქონდა, მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს თანხმობა იყო საჭირო. ადვოკატთა ასოციაციის პროექტით ხელისუფლებისთვის შეთავაზებულია, რომ უცხოელ ადვოკატს ჰქონდეს უფლება, ჩაერთოს ქართულ სასამართლო პროცესებში, თუკი ამის სურვილი აქვს რომელიმე დაკავებულ პირს. მაგალითად, მე მქონდა შესაძლებლობა, როგორც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ვყოფილიყავი გერმანიის სასამართლოში და პირის სასამართლო პროცესში მიმეღო მონაწილეობა. მე იქ არანაირი პრობლემა არ შემქმნია.

***— ქართველს იცავდით თუ უცხოელს?***

— ქართველს ვიცავდი გერმანულ სასამართლოში და იქ პროცესში ჩართვის პრობლემა არ შემქმნია. ეს საკითხი ძალიან მარტივად მოგვარდა, იმიტომ რომ ამას საერთაშორისო კონვენცია არეგულირებს. ასეთივე უნდა იყოს კანონმდებლობა ჩვენს ქვეყანაშიც. არ შეიძლება, პირადი და პოლიტიკური შეხედულებებით იყოს კოდექსების ნორმები ფორმულირებული. საქართველოს სს საპროცესო კოდექსი აშკარად არაპროგრესულია, არღვევს ადამიანის უფლებებს, დაცვის უფლებას და სამართლის პრინციპებს ეწინააღმდეგება. ამიტომ სსს კოდექსში ცვლილებები აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

***— ხელისუფლებას რატომ შეაქვს კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებები და რატომ აუარესებს მას, ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე ემუქრებათ?***

— დიახ, სააკაშვილის ხელისუფლებას ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე ემუქრება. ავტორიტარულ რეჟიმს ახასიათებს საერთოდ რეპრესიული და მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა. როდესაც პოლიტიკური ნიშნით აპატიმრებ ადამიანებს და პოლიტიკურ დევნას ახორციელებ, შენ გჭირდება მორჩილი სასამართლო, რომ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები არ განსაჯოს სამართლიანად და ობიექტურად. უნდათ, ხელისუფლების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებები სასამართლომ კანონიერად ცნოს. ამისთვის მას სჭირდება მართვადი სასამართლო. ამიტომ კანონმდებლობაში ისეთი საპროცესო ნორმები შეაქვს და ისეთ კანონმდებლობას იღებს, რომელიც მას უადვილებს რეპრესიული გადაწყვეტილების მიღებას, მაქსიმალურად უხსნის იმ წინააღმდეგობებს, რომელიც შეიძლება მხარემ შეუქმნას რეალური შეჯიბრებითობის პროცესში. შეხედავენ პრაქტიკაში, მაგალითად, რა პრობლემა შეიძლება შეუქმნას ადვოკატმა და იმ მუხლში განახორციელებენ ცვლილებებს. ამიტომ ხდება მუდმივად ცვლილებების შეტანა კოდექსში, ანუ პრაქტიკაში აკვირდებიან, სადაც პრობლემა შეექმნებათ, ერთ კვირაში გამოაცხობენ ახალ საკანონმდებლო ინიციატივას და მიიღებენ კანონს. მათ ხელს ვერავინ უშლის, რადგან უმრავლესობაში არიან. ამიტომ გვაქვს იურიდიულ სტანდარტებთან აბსოლუტურად შეუსაბამო კანონმდებლობა. ამ დროს საქართველო არის ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა და ვალდებულება აქვს, შეასრულოს საერთაშორისო მოთხოვნები და სტანდარტები. სამწუხაროდ, ხელისუფლება ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობს. ის ფიქრობს, დღეს როგორ გაიტანოს თავი, დღევანდელი დღე როგორ გადაიტანოს. ქვეყნის მართვა ასეთი ავტორიტარული მეთოდებით მისთვის უფრო იოლია და ხვალ რა იქნება, ამაზე არ ფიქრობს.

## ნინო ბურჯანაძე: ერთობა არ ნიშნავს საპარლამენტო სიაში ადგილების განაწილებაზე ვინმესთან კონკურენციას


ნინო ბურჯანაძე

„სახალხო კრება“ ყველა იმ ძალასთან თუ ადამიანთან, ვისაც ხელისუფლებასთან ბრძოლა და ქვეყანაში დემოკრატიის დამყარება რეალურად სურს, თანამშრომლობისთვის მზადაა“, — ეს განცხადება „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს სახელით მისმა წევრმა ნინო ბურჯანაძემ კრებისა და ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ შესაძლო თანამშრომლობის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ გააკეთა.

„რაც შეეხება ვინმესთან თანამშრომლობა/ართანამშრომლობის საკითხს, მე გამოვხატავ აღმასრულებელი საბჭოს პოზიციას და ვამბობ, რომ სახალხო კრებამ არაერთგზის გააკეთა განცხადება ყველა იმ ძალასთან თუ ადამიანთან, ვისაც ხელისუფლებასთან ბრძოლა და ქვეყანაში დემოკრატიის დამყარება სურს, თანამშრომლობისთვის მზად არის, მაგრამ იმისათვის, რომ ქვეყანაში არსებული ვითარება შეიცვალოს, აუცილებელია, რომ რეალური ერთობა შედგეს იმისათვის, რომ ხელისუფლების შეცვლა მიღწეულ იქნას. ერთობა არ ნიშნავს საპარლამენტო სიაში ადგილების განაწილებაზე ვინმესთან კონკურენციას, ყველას შეუძლია მშვიდად იყოს. „სახალხო კრება“ და თითოეული ჩვენგანი, ჩვენ, მოძრაობა „თეთრები“, სხვები ვლაპარაკობთ იმ ერთობაზე, რომლის ძალისხმევა და ქმედებები ამ ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შესაძლებელს გახდის“, — განაცხადა ბურჯანაძემ..

მედიანიუსი

## მიხეილ სააკაშვილმა დმანისში ახლადგახსნილი საავადმყოფო დაათვალიერა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ დმანისში ჩავიდა და მოსახლეობას სიტყვით მიმართავს.

მიხეილ სააკაშვილმა ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში აშენებული დმანისის მრავალპროფილური საავადმყოფო დაათვალიერა, რომელიც დეკემბრიდან ფუნქციონირებს. ოფიციალური ინფორმაციით, ამ პერიოდის განმავლობაში კლინიკამ 975 პაციენტი მიიღო და აქ 29 ბავშვი დაიბადა.

ადგილობრივ მცხოვრებლებს 80 კვალიფიციური სპეციალისტი ემსახურება.

კლინიკა სადაზღვევო კომპანია IC Group-მა ააშენა, რისთვისაც 2 მილიონზე მეტი ლარის ინვესტიცია განახორციელა. საავადმყოფო წამყვანი ბრენდების უმაღლესი ხარისხის ულტრათანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი.

მედიანიუსი

## ძლიერი ყინვების გამო თბილისში სხვადასხვა სახის ტრავმა 300-მდე მოქალაქემ მიიღო


მამუკა ქაცარავა

ძლიერი ყინვების გამო, თბილისში სხვადასხვა სახის ტრავმა 300-მდე მოქალაქემ მიიღო. ამის შესახებ ჟურნალისტებს დედაქალაქის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა, მამუკა ქაცარავამ განუცხადა.

მისივე განმარტებით, მათგან 60-ს ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.

„ყველა იმ პირის მდგომარეობას, რომელმაც ყინვების გამო დაზიანებები მიიღო, მონიტორინგის სამსახური ინდივიდუალურად სწავლობს. ყველა მათგანის მკურნალობის ხარჯებს თბილისის მერია დაფარავს. ტრავმების სიმძიმიდან გამომდინარე, ზოგიერთი მათგანის სამედიცინო მომსახურება რამდენიმე ათასი, ზოგის კი რამდენიმე ასეული ლარი ჯდება“, — აღნიშნა ქაცარავამ.

ინტერპრესნიუსი

## რამაზ ნიკოლაიშვილი სვაროვსკის“ შვილობილი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა


რამაზ ნიკოლაიშვილი

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი, გუშინ „სვაროვსკის“ შვილობილი კომპანიების „სვარკოსა“ და „დამბახის“ ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, კომპანია „სვარკოსა“ და სამინისტროს შორის წარმოებული ერთწლიანი მოლაპარაკებები კონკრეტული შედეგით დასრულდა. კერძოდ, კომპანია „სვარკომ“ საქართველოში საკუთარი წარმოებისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონალური წარმომადგენლობის გახსნის მიზნით ბიუჯეტი გამოყო.

„სვარკოსა“ და „დამბახის“ საქმიანობის ერთ-ერთი სფერო ავტომაგისტრალების კეთილმოწყობა და უსაფრთხოებაა. აღნიშნული კომპანიების მიერ, მზადდება და მონტაჟდება მოძრაობის მართვის სისტემები და საგზაო ნიშნები.

ნიუსპრესი

# სანდრო ბრეგაძე: საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა დაიწყოს!“

ქეთი ხომერიკი

**რა გეგმები აქვს ახლახან დაფუძნებულ „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფს“, მიმდინარეობს თუ არა ამ მესამე ცენტრად წოდებულ ძალასა და ივანიშვილს შორის კონსულტაციები და არის თუ არა ადეიშვილი მათი ერთ-ერთი დამფინანსებელი? „ახალ თაობას“ „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრა.**

**სანდრო ბრეგაძე:**

– ჰელსინკის ჯგუფები მთელ მსოფლიოში შეიქმნა მას შემდეგ, რაც 1974 წელს საბჭოთა კავშირმა, პირველად ისტორიაში, ჰელსინკში მოაწერა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაციას ხელი. აი, ამ დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ მთელ მსოფლიოში შეიქმნა ჰელსინკის ჯგუფები, როგორც უფლებადაცვითი ორგანიზაცია, ანუ ეს არის ყველაზე ძველი უფლებადაცვითი ორგანიზაცია მთელ მსოფლიოში. დასავლეთ ქვეყნებში ეს ორგანიზაციები მოქმედებენ ლეგალურად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი, კერძოდ, საბჭოთა კავშირში ეს იყო დისიდენტური მოძრაობა და ამ მოძრაობის წიაღში იშვა დისიდენტური მოძრაობები. 1976 წელს გამსახურდიამ და კოსტავამ ჩამოაყალიბეს ჰელსინკის ჯგუფი საქართველოში და სწორედ ეს ჯგუფი გახდა იმ დიდი ეროვნული გამათავისუფლებელი მოძრაობის ბაზისი, რომელი ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობაც 80–იანი წლების ბოლოს დაიწყო საქართველოში და დაგვირგვინდა დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

***– თქვენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას აპირებთ საქართველოში?***

– არა მარტო. თვითონ ჰელსინკის ჯგუფი გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაცია და ძირითადად იქნება დაკავებული უფლებადაცვითი საქმიანობით. ეს მთელ მსოფლიოში ასეა და ჩვენ გვაქვს სერიოზული კონტაქტები, იგივე უცხოეთში ჩვენს კოლეგებთან და, ასე ვთქვათ, სეხნია ორგანიზაციებთან. ეს არის ერთგვარი ქსელი, რომელიც, ფაქტობრივად, არის იმის განმსაზღვრელი მაგალითი, თუ ვინ არის, ვინ არ არის პოლიტპატიმარი, სად ირღვევა ადამიანის უფლებები და ჰელსინკის ჯგუფის რეკომენდაციებზე დაყრდნობით ხდება დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ მოხსენებების მომზადება პარლამენტებისა და მთავრობების მიერ. ერთი კუთხე და მთავარი მიმართულება ამისი იქნება ადამიანის უფლებადაცვითი ფუნქცია და მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, თავისთავად ამ მოძრაობაში შეკრებილნი არიან ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები, ადამიანები, რომლებიც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანამებრძოლები იყვნენ. რა თქმა უნდა, არის იდეა იმის შესახებ, რომ ამ ჯგუფის ბაზაზე გამოცხადდეს დიდი ეროვნული გაერთიანება და ამას გინდა გაერთიანება დავარქვათ, გინდათ კავშირი, მაგრამ დიდი ეროვნული გაერთიანება, რომელიც უკვე იქნება პოლიტიკური ორგანიზმი.


სანდრო ბრეგაძე

***– პოლიტიკურ პარტიად გადაკეთებას გეგმავთ?***

– არა, ჰელსინკის ჯგუფი იარსებებს, როგორც არსებობს, მაგრამ მის წევრებში არის ის იდეა, რომ შეიქმნას ასეთი დიდი, უკვე პოლიტიკური გაერთიანებაც.

***– და ვისთან ითანამშრომლებთ, რომელ პოლიტიკურ ძალებს მიიჩნევთ ეროვნულ ძალებად?***

– ეროვნულ ძალებად კავკასიის ჰელსინკის ჯგუფში თავმოყრილ ადამიანებს მივიჩნევ. იცით, რაშია საქმე, დღეს, ერთგვარ მოდად იქცა თავის ეროვნულ ძალად გამოცხადება და ბევრი ამას აკეთებს. ვფიქრობ, არიან პიროვნებები და პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ ეროვნულ იდეოლოგიაზე დამყარებული თავისი მსოფლმხედველობა, მაგრამ იმისათვის, რომ იქცე ეროვნულ ძალად, პირველ რიგში, ხელს უნდა გიწყობდეს ბიოგრაფია და განვლილი გზა; მეორე, თუ რას საქმიანობ აწმყოში და მესამე, თუ რა ხედვები გაქვს შენ სამომავლოდ. აი, იდეოლოგიურად ჩვენთან ახლოს ფორუმი და კუკავას პარტია დგანან, მაგრამ მათ გარდა კიდევ არიან ძალები, რომლებიც თავს ეროვნულს უწოდებენ, მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. აი, ამ პარტიის მაგალითზე შემიძლია ვთქვა შემდეგი – მთელი თავისი არსებობის მანძილზე (არ ვამბობ ძველ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაზე, ვამბობ 80 -იანი წლების ბოლოს რომ აღდგა ეს პარტია), ის წარმოადგენდა ეროვნულ მოძრაობასთან მებრძოლ პოლიტიკურ ორგანიზაციას და დღესაც, მაშინ, როდესაც ეს ე.წ. სამკაციანი პოლიტიკური გუნდი მიტმასნილია ხელისუფლებასთან, წარმოადგენს, რა თქმა უნდა, არასერიოზულ, მაგრამ დაბრკოლებას გარკვეულ საკითხებში. ეს ახლა ერთი მაგალითი მოვიყვანე, თორემ არიან, რა თქმა უნდა, ეგზალტირებული, მარგინალური ჯგუფები, რომელთა სახელებიც კი არ ვიცი, იმდენად პატარ-პატარა ჯგუფები არიან.

***– ხელისუფლებასთან მიტმასნილი ჯგუფები ახსენეთ, სხვათა შორის, თქვენზე ითქვა, სწორედ ეს არის ის მესამე ცენტრი, რომელიც ივანიშვილს უნდა დაუპირისპირდეს და მის საპირწონედ შეიქმნაო...***

– დიახ, მსმენია ამის შესახებ და სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ ერთი რამ – ხელისუფლების სხვადასხვა სამსახურების მხრიდან სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს, რომ ჩვენი და ივანიშვილის გზები არ გადაიკვეთოს და ჩვენ და ბატონი ივანიშვილი ერთად არ აღმოვჩნდეთ ამ რეჟიმის შეცვლის პროცესში. ამიტომაც იგონებენ ამ ჭორებს, რომ თითქოსდა ჩვენ ვქმნით მესამე პოლიტიკურ ცენტრს, რომელიც ივანიშვილს დაუპირისპირდება. რა თქმა უნდა, ეს არის სპეციალური სამსახურებისა და ოპოზიციაში შემოგზავნილი აგენტურის მიერ გავრცელებული ჭორები და მეტი არაფერი. მინდა ერთი რამ ცალსახად დავადასტურო – პირადად მე და ჩვენი ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობა ძალიან დიდი სიმპათიით ვუყურებთ ივანიშვილის მეცენატურ მოღვაწეობას წარსულში და პოლიტიკურ მოღვაწეობას აწმყოში. ივანიშვილის გამოჩენამ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მოიტანა ყველაზე დიდი რამ – იმედი, ნიჰილიზმის დაძლევა და პერსპექტივა იმისა, რომ ის რეჟიმი, რომელშიც ვცხოვრობთ, ადრე თუ გვიან, დაინგრევა. ივანიშვილს ერთი ლარიც რომ არ ჰქონდეს ანგარიშზე, მილიარდერიც რომ არ იყოს, ჩვენ მისი და ის ჩვენი თანამებრძოლი გახდებოდა. და საერთოდაც, ბევრად უფრო ადვილად გავხდებოდით თანამებრძოლები, ვიდრე დღეს, როდესაც მასზე დასეულები არიან სარანჩებივით ათასი რჯულისა და წარმომავლობის ხალხი.

***– თანამშრომლობა არ შემოუთავაზებია ივანიშვილს? რამდენად შესაძლებელია, რომ ერთად გიხილოთ?***

– იცით, მე არ ვიტყვი ამას. ამას ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ.

***– ეს როგორ გავიგოთ?კონსულტაციები მიმდინარეობს?***

– ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ, რადგან მე არ ვარ დღევანდელ ეტაპზე უფლებამოსილი ვისაუბრო ამ თემაზე. ვერ დავადასტურებ ვერც იმას, მიმდინარეობს კონსულტაციები თუ არა, ვერც იმას ვიტყვი, რომ არ მიმდინარეობს, რადგან არის ხოლმე საკითხები, როდესაც უფლებამოსილება არ გაქვს იმის, რომ რაღაცეები ვადაზე ადრე განაცხადო, ამიტომ თავს შევიკავებ; თუმცა, ერთი რამ შემიძლია ცალსახად გითხრათ – კავკასიის ჰელსინკის ჯგუფი და ის დიდი ეროვნული მოძრაობა, რომელიც აუცილებლად დაფუძნდება და გაშლის ფრთებს, ყველანაირად ეცდება, ივანიშვილთან ერთად იქნება თუ დამოუკიდებლად, იმ მიზნის განხორციელებას, რასაც საქართველოში დემოკრატიისა და თავისუფლების დამყარება ჰქვია.

***– გასაგებია... და რესპუბლიკელებისადმი თქვენი დამოკიდებულება არ იქნება გაერთიანების ხელისშემშლელი ფაქტორი?***

– შემიძლია ერთი რამ გითხრათ - ივანიშვილს თუ სურს და დარწმუნებული ვარ, რომ სურს საქართველოს გამოყვანა ამ კრიზისიდან, უნდა გახდეს არა რომელიმე ერთი პარტიის ლიდერი, არამედ საერთო სახალხო ლიდერი და იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე ერთი იდეოლოგიის მქონე პოლიტიკურ ძალას დაეყრდნობა, ან ერთი იდეოლოგიის განმახორციელბელი იქნება, რა თქმა უნდა, ამის გაკეთება გაუჭირდება. აი, თუნდაც ის, რომ ის იყოს მხოლოდ ეროვნული იდეოლოგიის გამომხატველი პოლიტიკური ძალის მეთაური, ვფიქრობ, ბევრად უფრო გაუჭირდება ამ რეჟიმის შეცვლა, ვიდრე მაშინ, თუკი ის გარშემო შემოიკრებს სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიისა და სხვადასხვა ბიოგრაფიის მქონე ძალებს; რადგან, როდესაც შენ ებრძვი ტოტალიტარულ მმართველობას, ამ დროს საჭიროა ყველა ძალის გაერთიანება მიზნის მისაღწევად.

***– თუმცა ამას არ აკეთებს, სადემარკაციო ხაზი გავლებულია... შეცდა ივანიშვილი?***

– ლეიბორისტებთან კარგი ურთიერთობა მაქვს და არ ვიტყვი ამას, ისევე, როგორც კუკავაზე, მაგრამ გიორგი თარგამაძესთან და იმ ე.წ. ოპოზიციასთან, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სადემარკაციო ხაზი რომ გაავლო, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად სწორად მოიქცა. ვფიქრობ, ადრე თუ გვიან, იგივე კუკავასთან, ბურჯანაძესთან უნდა გაიმართოს კონსულტაციები. თუკი ჩვენ გვსურს, რომ სერიოზული შედეგი დავდოთ, მათთან კონსულტაციები და მოლაპარაკებები, რომელიც მიიყვანს გარკვეულ კონსესუსამდე და შეთანხმებამდე, აუცილებელია. არ არის აუცილებელი, რომ ერთი ბლოკი იყოს, შესაძლებელია, სერიოზულ საკითხებში, რომელიც თუნდაც არჩევნების გაყალბებას გამორიცხავს, შედგეს მათთან თანამშრომლობა და დღეს, თუ ხვალ, ეს აუცილებლად მოხდება. დარწმუნებული ვარ, რომ ივანიშვილი არ გახლავთ, მხოლოდ და მხოლოდ, დიდი ფულის პატრონი ადამიანი, ის გახლავთ საკმაოდ დიდი ჭკუისა და ინტელექტის მქონე ადამიანი და დარწმუნებული ვარ, მას ეს ყველაფერი განსაზღვრული აქვს, უბრალოდ, არსებობს რაღაც ეტაპები, რომელი ეტაპების გავლაც საჭიროა.

# ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში ვერ ერკვევა!

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ ყოფილ დეპუტატთან, სახალხო პარტიის“ ლიდერ მამუკა გიორგაძესთან

***– ბატონო მამუკა, პოლიტიკოსების ნაწილის აზრით, ბიძინა ივანიშვილი ლიდერად ვერ ჩამოყალიბდა. რა მინუსებს ხედავთ ივანიშვილის ნაბიჯებში?***

– ივანიშვილი, სამწუხაროდ, პირადად არ იცნობს პოლიტიკურ სპექტრს და ქართველი საზოგადოების ფართო წარმომადგენლობას. მას დრო სჭირდება ამ დეფიციტის შესავსებად. ის, როგორც პოლიტიკის მიღმა მყოფი ადამიანი, მიმდინარე პროცესებს მედიის საშუალებით უყურებდა და ინფორმაციას იღებდა არა მრავალი წყაროდან. აქედან გამომდინარე, მას ჩვენი შიდა სამზარეულოს ზუსტი აღქმა უჭირს. დროთა განმავლობაში ეს დეფიციტი შეივსება და ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ, რამდენად მოახერხებს ივანიშვილი ქართველ საზოგადოებაში ძალების სწორ ორგანიზებას. დღეს თუ აცხადებს, რომ ის ვართ, ვინც ვართ, ეს არის ქართული პოლიტიკური სპექტრი, ალბათ, როდესაც უფრო მეტად გაიცნობს ქართველი საზოგადოების მრავალფეროვნებას, დარწმუნდება, რომ ის, რაც მედიასივრცეში ჩანს, სრულად არ ასახავს ქართულ რეალობას. ძალიან ბევრი ღირსეული, მომზადებული ადამიანია ქართველ საზოგადოებაში, რომლებთან ერთადაც შესაძლებელია დიდი წარმატებების მიღწევა. მეორე მხრივ, ბუნებრივია, იმავე ახლებისა თუ სხვების მიერ გაკეთებული ეს განცხადება მიკერძოებული ადამიანების ნათქვამია. შედარებები არ მინდა, მაგრამ ის ხალხი ჩამოყალიბდა ლიდერებად და ივანიშვილი ვერ ჩამოყალიბდა? მათი მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთება ღიმილისმომგვრელია. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად სწორად შეძლებს ივანიშვილი ამ ნაბიჯების გადადგმას. მთავარია, მან გააცნობიეროს ის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ავანსად დააკისრა საქართველოს მოსახლეობამ. ეს ძალიან დიდ ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგრადობას, აგრეთვე პოლიტიკური საკითხების ღრმა ცოდნას მოითხოვს. ერთ-ორ თვეში გამოიკვეთება ყველაფერი. წინასწარ რაიმეს თქმა ძალიან რთულია. როდესაც რაღაც ნაბიჯები იდგმება, ჩვენ არ ვიცით ამ ნაბიჯების გაგრძელება. ამიტომ შეიძლება არასწორი შეხედულება შეგვექმნას და დღეს პირადად მე ზოგიერთ ნაბიჯს ცოტა უფრო სხვანაირად გადავდგამდი, მაგრამ მისი ქმედებების შეფასება ცოტა რთულია, იმიტომ რომ ივანიშვილის მეორე-მესამე ნაბიჯები ჩემთვის უცნობია. აქედან გამომდინარე, სანამ ტენდენცია არ გამოვლინდება, მანამდე ძალიან ძნელი შესაფასებელია მისი საქმიანობა, ისევე, როგორც, ალბათ, პარტიის ჩამოყალიბების დროს გაირკვევა ბოლომდე მისი იდეოლოგიური პრინციპები, ღირებულებათა სისტემა, რომლის დანერგვასაც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში აპირებს და შემდგომ უფრო მარტივი და იოლი იქნება შეფასებების გაკეთება.

***– მძიმე ბრძოლა მოუწევს ივანიშვილის კოალიციას სააკაშვილის გუნდთან?***

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# საქართველო მაჟორიტარებმა გააუბედურეს

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტები მაჟორიტარების წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გამოდიან და ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარ წარმომადგენლებს, ფაქტობრივად, ქვეყნის გამყიდველურ ნაბიჯებში ამხელენ. შალვა ნათელაშვილის პარტიაში მიაჩნიათ, რომ მაჟორიტარი დეპუტატები საკუთარი კეთილდღეობის მოწყობით არიან დაკავებული და მათ არ აინტერესებთ რიგითი ადამიანების ბედი.**


გიორგი გუგავა

ლეიბორისტების განცხადებით, ხელისუფლებისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად მაჟორიტარი დეპუტატები ყველასა და ყველაფერს გაწირავენ.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა, მაჟორიტარი პარლამენტარები უკანონოდ მითვისებული ქონების შესანარჩუნებლად საკუთარ დედებსაც არ დაინდობენ.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელმა გუშინვე ნაციონალ მაჟორიტარებს პრეზიდენტ სააკაშვილის გუნდის დატოვებაც ურჩია და ეს ნაბიჯი პასუხისმგებლობის მეტ-ნაკლენად შემამსუბუქებლად მიიჩნია.

– ქართული სახელმწიფოს სიმსივნე, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე კორუმპირებული, გაუმაძღარი, გამყიდველი, არჩევნების გამყალბებელი, ყველა ხელისუფლების მონა-მორჩილი პოლიტიკური კასტა არის მაჟორიტარ პარლამენტართა კასტა, რომლებიც მზად არიან, მოპარული ქონების შესანარჩუნებლად ურცხვად ემსახურონ არსებულ რეჟიმებს, – განაცხადა გიორგი გუგავამ.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ლეიბორისტები დიდი ხანია მაჟორიტართა წინააღმდეგ გამოდიან და პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივითაც მიმართეს, გაუქმდეს მაჟორიტარული არჩევნები. შალვა ნათელაშვილის პარტიაში მიაჩნიათ, რომ მაჟორიტარები მუქთამჭამელები არიან და მათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სასიკეთო არაფერი გაუკეთებიათ.

– მივმართავ მაჟორიტარ პარლამენტართა კასტას, დროზე დატოვეთ სააკაშვილის სახელისუფლებო ნავი, რაც ხელს შეუწყობს არსებული რეჟიმის დემონტაჟს და ასევე ოდნავ მაინც შეიმსუბუქებთ მოსალოდნელ სასჯელს იმ მრავალ დანაშაულთა გამო, რომლებიც ჩადენილი გაქვთ, – განაცხადა გიორგი გუგავამ და მოსახლეობას მოუწოდა, ერთხელ და სამუდამოდ გაწმინდონ პარლამენტი ასეთი პოლიტიკური გვამებისაგან.

გუგავას თქმით, მაჟორიტარების უმეტესობა არის კორუმპირებული, მილიონერი და საკუთარ მდგომარეობას მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის დასაცავად იყენებენ.

– ჩვენ ვითხივთ მაჟორიტარიზმის გაუქმებას. ამ აქციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ ის იქნება, რომ მოქმედ საარჩევნო კოდექსში შევიდეს ცვლილება, რათა მაჟორიტართა კორპუსი გაუქმდეს. მითხარით ერთი, როგორ წარმოადგენს კობა ნაყოფია ბოლნისის რაიონს, ანდა კურდღელაშვილი – კასპის რაიონს, ან რა გაუკეთებია ტყიბულისათვის თავლიპლიპა კუბლაშვილს? მაღაროებში ლამის ორ თვეში ერთხელ აფეთქება ხდება, ხალხი იხოცება. ეს მაღარო მაჟორიტარ დავით ბეჟუაშვილის საკუთრებაა, – განაცხადა გიორგი გუგავამ.

გუშინვე ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა თბილისის მოსახლეობასაც მიმართა, რომელიც უკმაყოფილოა არსებული ხელისუფლებისა და მაჟორიტარების საქმიანობით, 17 თებერვალს, 15 საათზე, პარლამენტის წინ ლეიბორისტების მიერ დაგეგმილ აქციაზე მივიდნენ და სააკაშვილის ხელისუფლებას პროტესტი გამოუცხადონ.

# ჩოხოსნები“ ლადო მესხიშვილს გაიხსენებენ

ეკა ირემაშვილი

16 თებერვალს ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის ლადო მესხიშვილის დაბადების დღეა. უკვე 30 წელზე მეტია ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრები და მათი ხელმძღვანელი გოგი დოლიძე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში იკრიბებიან და პატივს მიაგებენ დიდი ხელოვანის ნათელ ხსოვნას.

ლადო მესხიშვილი თბილისის ერთ-ერთ კერძო პანსიონში სწავლობდა, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ავადმყოფობის გამო უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა, სამშობლოში დაბრუნდა და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა თელავის ქალთა სასწავლებელში, სადაც სამ წელიწადს იმსახურა, პარალელურად მონაწილეობდა რუს სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. 34 წლის ასაკში მსახიობი შევიდა თბილისის ქართულ დრამატულ დასში. 6 წლის შემდეგ რუსულ სცენაზე გამოდიოდა. სხვადასხვა წლებში ლადო მესხიშვილი ხელმძღვანელობდა თბილისისა და ქუთაისის დრამატულ დასებს.

– ალექსი-მესხიშვილი მხარს უჭერდა სახალხო ბრძოლას, თვითონაც იბრძოდა ბარიკადებზე, მიტინგებზე რევოლუციურ ლექსებს კითხულობდა. ტირანიისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავდა მისი დადგმებიც – მონტის „გაიუს გრაკქუსი“ და ჰაუპტმანის „ფეიქრები“, რომლებშიც ალექსი-მესხიშვილი თვითონვე ასრულებდა მთავარ როლებს. ლადო ალექსი-მესხიშვილი წლების განმავლობაში რუსულ ენაზე მოღვაწეობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრში. მისი გმირები ებრძოდნენ უსამართლობას, ექომაგებოდნენ


ლადო მესხიშვილი

ჩაგრულებს, ილვწოდნენ კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის. ამ გმირებს იგი წარმოსახავდა რომანტიკული მგზნებარებით, პოეტური აღმაფრენით. მისი უმნიშვნელოვანესი როლებია – ლევან ხიმშიაშვილი (ერისთავის „სამშობლო“), გაიოზ ფარავა (გუნიას „დაძმა“), სულეიმანი (სუმბათაშვილის „ღალატი“), ჰამლეტი (შექსპირის „ჰამლეტი“), ურიელ აკოსტა (გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), კეისარი (შექსპირის „იულიუს კეისარი“), ფრანც და კარლ მოორები (შილერის „ყაჩაღები“), რუი ბლაზი (ჰიუგოს „რუი ბლაზი“). საინტერესოა ალექსი-მესხიშვილის მიერ შექმნილი კომედიური და სახასიათო სახეებიც – რასპლუევი (სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწინება“), გოროდნიჩი (გოგოლის „რევიზორი“). ლადო მესხიშვილმა 100-ზე მეტი პიესა დადგა და ქართული სცენის მრავალი ოსტატი გამოზარდა. ალექსი-მესხიშვილმა ქართული სცენისათვის არაერთი დრამატული ნაწარმოები თარგმნა. რუსეთში ყოფნის დროს ქართველი მსახიობი და რეჟისორი გადაიღეს კინოფილმებში „მამები და შვილები“, „შურისძიების ღმერთი“, – განაცხადა კინომცოდნე გოგი დოლიძემ.

ლადო მესხიშვილი 63 წლის ასაკში გარდაიცვალა, იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. მისი გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ ხელოვანს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. 1940 წელს კი ქუთაისის დრამატულ თეატრს ალექსი-მესხიშვილის სახელი მიენიჭა.

**გოგი დოლიძე, კინომცოდნე, ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელი:**

– ყოველი წლის 16 თებერვალი ჩვენთვის არის დღესასწაული იმ მხრივ, რომ გავდივართ დიდუბის პანთეონში, ლადო მესხიშვილის საფლავთან და აღვნიშნავთ ამ შესანიშნავი, ლეგენდარული მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის დაბადების დღეს. ამას საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა აღვადგინე შემორჩენილი ორად ორი ფილმი ლადო მესხიშვილის მონაწილეობით, ჩამოვიტანე მოსკოვიდან მისი ასლები და მას შემდეგ გადავწყვიტეთ, აღვნიშნოთ მისი დაბადების დღე. მთლიანობაში ლადო მესხიშვილი გადაღებულია 30-მდე ფილმში, მაგრამ მხოლოდ ორის მოპოვება შევძელი. განსაკუთრებული ამ დღეს არაფერია, ტრადიციულად მივდივართ მის საფლავზე ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები როგორც თეატრის, ასევე კინოს და მუსიკის წარმომადგენლები. ჩვენთვის მთავარი ის კი არ არის, მანიფესტაცია ჩაატარო, არამედ ცხოვრების ელემენტარულ ნორმად რომ აქციო ტრადიცია, რომ ისეთი დღე, როგორიც არის 16 თებერვალი, ლადო მესხიშვილის დაბადების დღე აღვნიშნოთ და წავიდეთ დიდუბის პანთეონში. უკვე 34 წელია ჩავდივართ ქუთაისში და 14 მარტს ვასილ ამაშუკელის დაბადების დღეს აღვნიშნავთ. წელს გვექნება გამორჩეული დაბადების დღე. წელს აღინიშნება ვასილ ამაშუკელის ფილმის „აკაკი წერეთლის მოგზაურობის“ 100 წლის იუბილე და შემიძლია შეგახსენოთ, რომ არსად, არც ერთ ქვეყანაში, არასდროს, თვით საფრანგეთშიც კი, რომელიც ითვლება კინემატოგრაფის სამშობლოდ, არ აღუნიშნავთ ფილმის დაარსების და გადაღების 100 წლის იუბილე. უკვე შევიტანე კულტურის სამინისტროში პროექტი, რომელიც მოწონებულია.

***– კიდევ ვის იუბილეს აღნიშნავთ ხოლმე გამორჩეულად?***

– ჩვენ გვიყვარს ჩვენი წინაპრების გახსენება. გვინდა ახალგაზრდობამაც მოგვბაძოს. 29 აპრილს ყოველთვის ავდივართ მთაწმინდის პანთეონში და აკაკი ხორავას დაბადების დღეს აღვნიშნავთ. 17 მაისს ჩავდივართ კახეთში და სოლომონ დოდაშვილს ვიხსენებთ. ჩვენ ბევრი მნიშვნელოვანი თარიღი გვაქვს. აღფრთოვანებული ვარ ჩემი უახლოესი კოლეგებით, რომლებსაც არ ავიწყდებათ ეს თარიღები. მივდივართ პანთეონში, ყვავილებით შევამკობთ საფლავს, გადავიღებთ სამახსოვრო სურათებს, ჩავატარებთ წირვას და მოვდივართ. ცხოვრების წესად რომ ვაქციეთ ეს ყველაფერი, ეს არის ჩვენთვის მთავარი. ასე იქნება წელსაც, ასე იყო წინა წლებშიც და ასე იქნება მომავალშიც.

***– თქვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, საიუბილეო თარიღია თუ არა?***

– ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. როცა საიუბილეო თარიღია, ჩვენ უფრო მასშტაბურად აღვნიშნავთ, კინოს სახლში ვიკრიბებით, ფილმებსაც ვაჩვენებთ ხოლმე. ყოველი 16 თებერვალი, ყოველი 14 მარტი, ყოველი 29 აპრილი, ყოველი 17 მაისი, თუ პირველი ივლისი, მარაბდობის დღესასწაული, ჩვენთვის დღესასწაულია და ამას ვაკეთებთ ჩვენთვის. ეს არის ჩვენი მუშაობის კალენდარი, ამას ვაკეთებთ უხმაუროდ, მადლობა ღმერთს, თქვენი სახით პრესა ჩვენს გვერდით არის და ასეთი მოკრძალებული წვლილი შეგვაქვს ჩვენი ქვეყნის სულიერი გაჯანსაღების საქმეში. ახალგაზრდობას უნდა შევახსენოთ, თუ რა დიდი წინაპრები გვყავდა და უნდა გვახსოვდეს – ვინც ივიწყებს წარსულს, ის ვერ ხედავს მომავალს.

***– ლადო მესხიშვილის ორი ფილმი მოგიძიებიათ, დანარჩენს რა ბედი ეწია?***

– ყველა ეს ფილმი გადაღებული იქნა რუსეთში, ლადო მესხიშვილი იქ მოღვაწეობდა. ამ ორის გარდა, ყველა ფილმი დაკარგულია. შემორჩენილი იყო მხოლოდ ორი ფილმი, რომელთა ასლებიც უკვე საქართველოშია. რეზო ჩხეიძეს რომ ვუთხარი, მახსოვს ჩვენი საუბარი, მითხრა, შენ თუ მაგ საქმეს გააკეთებ, მადლიერი ვიქნებიო. რეზომ ყველანაირად შემიწყო ხელი, წავედი რუსეთში და ორივე ფილმი ჩამოვიტანე. ერთ-ერთ ფილმში თამაშობენ ტერესიანი და ბეკნაზაროვი, სომეხი მსახიობები არიან. ჩავედი სომხეთში, ერთი ასლი მათ ტელევიზიას ვაჩუქე და ვაჩვენე პრემიერა. ეს ფილმები საინტერესოა იმ მხრივ, რომ თამაშობენ ეს მსახიობები, თორემ რაიმე კინემატოგრაფიული აფეთქება მათში არ იგრძნობა. ჩვეულებრივი სტანდარტული ფილმებია.

***– ორივე ფილმი მხატვრულია?***

– კი, ორივე ფილმი მხატვრულია, როგორ ერთობოდა ინტელიგენცია, ამაზეა ფილმი. ოთარ მეღვინეთუხუცესს გავახმოვანებინე და გაოგნებული უყურებდა. ეკრანზე ვხედავდით, როგორ მოძრაობდა ლადო მესხიშვილი, როგორ უხაროდა, როგორ თამაშობდა, როგორ ლაპარაკობდა, როგორ განიცდიდა. ჩვენ ლადო მესხიშვილი მხოლოდ ფოტოებით ვიცით. თეატრის მსახიობის უბედურება ხომ ის არის, რომ მისი შემოქმედება კვდება მის ფიზიკურ სიკვდილამდე ბევრად ადრე. კინოს შეუძლია ეს ყველაფერი შემოინახოს. სამწუხარო ის არის, რომ ლადო მესხიშვილი ფილმის ხმოვან პერიოდს ვერ მოესწრო. მთავარია მისი გამოსახულება არის. როგორც ვანო სარაჯიშვილი, გადაიღეს თუ არა „მამის მკვლელში“, იმავე წელს გარდაიცვალა 44 წლის ასაკში, ფილმის საშუალებით კი ცოცხალ ვანო სარაჯიშვილს ვხედავთ, როგორ მოძრაობს, როგორ ლაპარაკობს, როგორ ეტრფის ნატო ვაჩნაძის გმირს. ამიტომ მგონია, რომ ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა შევახსენოთ ახალგაზრდობას და წინაპართა ხსოვნა ჩვენივე კეთილდღეობისთვის იქნება სასარგებლო.

# ქეთო და კოტეს“ მხატვარი გარდაიცვალა

ეკა ირემაშვილი

97 წლის ასაკში ვახტანგ ტაბლიაშვილის ცნობილი ფილმის „ქეთო და კოტეს“ მხატვარი იოსებ სუმბათაშვილი 11 თებერვალს მოსკოვში გარდაიცვალა. ბატონი იოსები თეატრის ცნობილი მხატვარია.

იოსებ სუმბათაშვილი თეატრალური პრემიის „ოქროს ნიღაბის“ და პრაღის კვადრიენალეს ოქროს მედალის მფლობელი, სსრკ-ს სახალხო მხატვარი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატია.

თბილისში დაბადებულმა მხატვარმა სამხატვრო აკადემია დაამთავრა და მიწვეულ იქნა კიტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მთავარი მხატვარის თანამდებობაზე, სადაც 5 წული იმუშავა. მხატვრის მიერ ამ წლებში გაფორმებული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია „დავით აღმაშენებელი“, „მედეა“, „უმზითვო“. მარჯანიშვილის თეატრიდან წამოსვლის შემდეგ იოსებ სუმბათაშვილმა მთავარ მხატვრად დაიწყო მუშაობა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც გააფორმა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ და მრავალი სხვა დადგმა. თეატრში ინტენსიურად მუშაობის პარალელურად ის წარმატებულად მუშაობდა, როგორც კინოს მხატვარი. შესრულებული აქვს დეკორაციის ესკიზები კინოფილმისათვის „ქეთო და კოტე“, „ცისკარა“, „მაგდანას ლურჯა“.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იოსებ სუმბათაშვილმა მოღვაწეობა განაგრძო მოსკოვის სხვადასხვა დრამატულ თეატრებში, მათ შორის – სამხატვრო თეატრში, ვახტანგოვის სახელობის თეატრში, მცირე თეატრში, ოპერისა და ბალეტის თეატრში, რუსეთის არმიის აკადემიურ თეატრში, სადაც ის სიკვდილამდე თეატრის მთავარი მხატვარი იყო. მის მიერ გაფორმებული მრავალი სპექტაკლიდან აღსანიშნავია „ანტონიუსი და კლეოპატრა“, „მისტერია ბუფი“, ოპერა „პეტრე პირველი“, „ძია ვანია“. სპექტაკლისათვის „ივანე მრისხანეს სიკვდილი“ ქართველმა მხატვარმა პრაღის კვადრიენალეზე ოქროს მედალი დაიმსახურა.

– თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში იოსებ სუმბათაშვილი თანამშრომლობდა საზღვარგარეთის სხვადასხვა დრამატულ და მუსიკალურ თეატრთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, კორეაში და სხვა მრავალ ქვეყანაში. ბატონი იოსები იყო კინოფილმ „ქეთო და კოტეს“ შემოქმედებითი ჯგუფის ერთადერთი ცოცხალი წარმომადგენელი. მისი გარდაცვალებით, ამ ფილმის შემოქმედებით ჯგუფს ცოცხალი წევრი აღარ დარჩა, – განუცხადეს „ახალ თაობას“ კულტურის სამინისტროში.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბჰბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● სოფ. ასურეთში 170კვ.მ გასარემონტებელი სახლი, 800კვ.მ მიწის ნაკვეთით, ხეხილით და ვაზის ტალავერით. ბოლო ფასი: 15000 დოლარი. ტელ.: 8-790-55-58-62, 592-49-85-55

● მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით. შესაძლებელია განვადება. ფასი 30.000 დოლარი. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● მოგიხსნით ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ოჯახურ კონფლიქტებს, დეპრესიას, ლოთობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას. ტელ: 599-49-84-23.

● იყიდება ან იცვლება ბინაზე ორსართულიანი სახლი (110 კვ.მ.), ნაკვეთის ფართობი 200 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. მის: ნუცუბიძის I მიკრორაიონი, სახლი №5ა. ტელ: 232-52-29; 568-65-10-48; 599-41-52-29.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 1000კვ.მ და 2000კვ. მ. შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 8790-90-32-96; 2-53-15-87. 568 657486.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ვკერავთ თეთრეულს, ფარდებს, გადასაფარებლებს, ავტომანქანის შალითებს, ყველაფერს ოჯახისა და ოფისებისათვის. ტელ: 258-93-94; 595-96-64-63.

# რეინჯერსის ცუდი დროება — გრანდი კოტრდება



შოტლანდისს 54-გზის ჩემპიონი „რეინჯერსი“ მალე გაკოტრებასთან დაკავშირებულ ყველა იურიდიულ პროცედურას გაივლის, რომლის დასრულების შემდეგ უცნობია, გააგრძელებს თუ არა გლაზგოური კლუბი არსებობას. კლუბის ვალებმა 50 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწიეს, რომლის გადახდაც „რეინჯერსს“ არ შეუძლია. გაკოტრებასთან ერთად, კლუბს 10 ქულას ჩამოაკლებენ.

არადა, „რეინჯერსი“ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კლუბია, რომელიც 1872 წელს იქნა დაარსებული. გუნდის სახელი წიგნიდან არის მოფიქრებული და მისი დაარსების იდეა ძმებ მოზეს და პიტერ მაკჰეილებს, ასევე პიტერ კემბელსა და უილიამ მაკბიტს მოუვიდა აზრად.

ზუსტად 100 წლისთავზე შოტლანდიურმა კლუბმა იუბილე თასების მფლობელთა თასის მოგებით აღნიშნა. ამავე ტურნირის ფინალში კიდევ ორჯერ აქვს ნათამაშევი (1961 და 67), ერთხელ კი უეფას თასის ფინალში (2008) გააღწია.

ტიტულების მიხედვით კი „რეინჯერსი“ შოტლანდიის რეკორდსმენია.

# სფფ-ს აღმასკომმა მწვრთნელები დაამტკიცა

2012 წელს, აღმასკომი პირველად შეიკრიბა და დღის წესრიგში შეტანილი ხუთი საკითხი განიხილა:

1. საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელების დამტკიცების შესახებ
2. სფფ-ის აღმასკომის წევრის – ვ.ქორიძის განცხადების შესახებ
3. ქ.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილის შესახებ
4. ს.კ სოხუმის „აეტის“ წერილის შესახებ
5. სხვადასხვა

აღმასკომის სხდომას, მისი 18 წევრიდან 14 ესწრებოდა. სხდომა სფფ-ის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ გახსნა და სანამ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დაიწყებოდა, იგი აღმასკომის წევრებს 2012 წლის გეგმების შესახებ ესაუბრა. ზვიად სიჭინავას თქმით, მთავრობის წინაშე მან დააყენა საკითხი, რომ წლევანდელ წელს, თითო ახალი მოედანი შეემატოს ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობას – კახეთსა და გურიაში და იმედი გამოთქვა, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება.

ამის შემდეგ, ზვიად სიჭინავამ საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების ახალი მწვრთნელების კანდიდატურები წარუდგინა აღმასკომს. პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ კანდიდატურების შერჩევასა და საერთოდ, ამ საკითხზე მუშაობას ეროვნული გუნდის თავკაცი თემურ ქეცბაია ხელმძღვანელობდა. აღმასკომი დადებითად შეხვდა ახალი მთავარი მწვრთნელების კანდიდატურებს და ერთხმად დაამტკიცა. ამასთან, აღმასკომის წევრებმა მწვრთნელებთან სამუშაო შეხვედრა და ჩვენი ეროვნული გუნდების გეგმების შესახებ საუბარიც ისურვეს.

მეორე საკითხად, აღმასკომმა მისი აწ უკვე ყოფილი წევრის, ვახტანგ ქორიძის წერილობითი თხოვნა განიხილა, სადაც ვეტერანმა ფეხბურთელმა და აჭარის რეგიონალური ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა თანამდებობიდან წასვლისა და აღმასკომის დატოვების შესახებ განაცხადა.

აღმასკომზე განხილულ იქნა ორი წერილიც. პირველი – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიმართვა, ადგილობრივი საფეხბურთო კლუბისთვის სამართლებრივი ფორმის შეცვლის თაობაზე. წყალტუბოს საკრებულოს თხოვნით, აქამდე შპს-დ დარეგისტრირებულ „საფეხბურთო კლუბ სამგურალი 2009“– ს – არ გააჩნდა არანაირი კომერციული მოგება და შემოსავალი. ამიტომ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მიზანშეწონილად მიაჩნია ჩამოყალიბდეს ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი სამგურალი“. ამასთან ერთად, მოგახსენებთ, რომ შპს „საფეხბურთო კლუბი სამგურალი 2009“-ის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება ფედერაციისა და ბიუჯეტის მიმართ, შესრულებულ იქნა 2011 წლის ბოლომდე.

მეორე წერილის ავტორი საფეხბურთო კლუბ სოხუმის „აეტის“ პრეზიდენტი ომარ სოხაძე იყო, რომელმაც ახლად ჩამოყალიბებული კლუბისთვის სფფ-ს ფინანსური შეღავათების დაწესება სთხოვა:

– შესაბამისი ბაზისა და რეზერვის არქონის გამო, მოკლე დროში, სეზონის დაწყებამდე მოგვიხდა 100-ზე მეტი უგუნდო ფეხბურთელის გასინჯვა. ლიმიტით გათვალისწინებული 30 ფეხბურთელის გარდა, განაცხადში შევიყვანეთ კიდევ 6 ფეხბურთელი, რის გამოც დამატებით გადავიხადეთ 1.800 ლარი (თითო ფეხბურთელზე 300 ლარი). ჩემპიონატის მიმდინარეობამ გვაჩვენა, რომ მათი უმრავლესობა კლუბის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, რის გამოც, გუნდში რჩება მხოლოდ 11 ფეხბურთელი. ჩემპიონატის მეორე ეტაპის ღირსეულად ჩატარების მიზნით, ამჟამად ვაწარმოებთ ახალგაზრდა ფეხბურთელების სელექციას. გუნდის დევნილობაში სრულფასოვნად ჩამოყალიბების მიზნით, გთხოვთ, განიხილოთ სატრანსფერო პერიოდში 15 ფეხბურთელის დამატებით განაცხადში საშეღავათო გადასახადით შეყვანის შესაძლებლობა, რადგან განაცხადის ლიმიტი ამოწურული გვაქვს, – ნათქვამი იყო წერილში.

აღმასკომმა სოხუმის „აეტისთვის“ გამონაკლისის დაშვება შესაძლებლად მიიჩნია, თუმცა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ სხვა კლუბებზე მსგავსი შეღავათები არ გავრცელდება.

სფფ-ის გენერალურმა სამდივნომ კი, აღმასკომს გააცნო ჩემპიონატის დებულებაში შესატანი ერთი მცირე ცვლილება, რომლის მიხედვითაც, 1996-97 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა ჩემპიონატში, სეზონის განახლების შემდეგ, 35-ის ნაცვლად, იქნება 40 წუთიანი ტაიმები.

ბოლოს კი, ყველაზე დიდი დრო აღმასკომმა ქართულ ფუტსალში მიმდინარე მოვლენებსა და არსებულ პრობლემებზე მსჯელობას დაუთმო.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, სფფ-ის პრეზიდენტმა აღმასკომს გააცნო გეგმა, რომლის მიხედვითაც ფუტსალის წლევანდელი ჩემპიონატის ჩატარება თავის თავზე ფეხბურთის ფედერაციამ აიღო. ამასთან, ფუტსალის ასოციაციას დაევალა შეასწოროს და შეცვალოს მისი დებულება და როგორმე დალაგდეს ასოციაციაში არსებული არეულობა და პრობლემები.

ამასთან, ფუტსალის პოპულარიზაციის მიზნით, სფფ-ის პრეზიდენტმა რეგიონული ფედერაციების წარმომადგენლებს დაავალა, თავიანთ რეგიონებში ფუტსალის თითო გუნდის ჩამოყალიბებაზე იზრუნონ, რათა მომდევნო ჩემპონატი, გეოგრაფიულად უფრო მრავლისმომცველი გახდეს და თამაშები მარტო თბილისში არ გაიმართოს.

აღასკომის სხდომა ამით დასრულდა, თუმცა, ფუტსალის თემა არ ამოწურულა – სფფ-ის პრეზიდენტი საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფუტსალის კლუბების წარმომადგენლებს შეხვდება და მომავალი ჩემპიონატის კალენდარსა და ყველა საჭირო საკითხზე ისაუბრებს.

# აბრამოვიჩი ოთხეულს ითხოვს

ბრიტანული მედიის ცნობით, ლონდონის „ჩელსის“ მეპატრონეს, რუს ოლიგარქ რომან აბრამოვიჩის კლუბთან შეხვედრა და საკმაოდ მკაცრი საუბარი ჰქონდა.. ეს ყველაფერი პრემიერლიგის 25-ე ტურში „ევერტონთან“ წაგების მეორე დღეს მოხდა – აბრამოვიჩმა გუნდის საგანგებო კრება მოიწვია, სადაც კიდევ ერთხელ განუცხადა ფეხბურთელებს, რომ ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენა მიუღებელ შედეგად მიაჩნია.

„არისტოკრატები“ 2003 წლის შემდეგ პირველად დგანან რეალური საფრთხის წინაშე, რომ ლიგის ოთხეულს მიღმა დარჩნენ, რაც გუნდის ფინანსურ მდგომარეობას საკმაოდ ძლიერ დარტყმას მიაყენებს.

აბრამოვიჩის შემდეგ სიტყვა „ჩელსის“ თავკაცმა ანდრე ვილაშ-ბოაშმა აიღო და ფეხბურთელებს განუცხადა, რომ ტრადიციული დასვენების დღე გააუქმა. პრემიერლიგის მატჩების მეორე დღეს, როგორც წესი, დასვენება აქვთ ხოლმე. ამ განცხადებამ, რამდენიმე ფეხბურთელის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდა მწვრთნელის ლონდონში დანიშვნის შემდეგ პირველად დაიძაბა ურთიერთობა მასა და გულშემატკივარს შორის. „გუდისონ პარკის“ ტრიბუნებზე შეკრებილმა ორი ათასამდე ლონდონელმა 78-ე წუთზე ხუან მატას შეცვლის შემდეგ სიმღერა წამოიწყო, რომლის ტექსტი იყო, თავადაც არ იცი უკვე, რას აკეთებო.

– გულშემატკივრები ერკვევიან ფეხბურთში თუ არა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მათი აზრი მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, – განაცხადა ამის შესახებ ვილაშ-ბოაშმა.

# შენგელია ფანებმა აღიარეს, ვალანჩიუნასი — ექსპერტებმა

თორნიკე შენგელია, საკალათბურთო გულშემატკივრების აზრით, საუკეთესო ახალგაზრდა ევროპელი კალათბურთელია. მსოფლიოს კალათბურთის მმართველი ორგანიზაციის ფიბა-ს ვებ-გვერდზე მოწყობილ გამოკითხვაში 20 წლის ქართველმა ფორვარდმა ყველაზე მეტი ხმა დააგროვა და თითქმის ორმაგად გაუსწრო 19 წლის ლიტველ იონას ვალანჩიუნასს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულმა ვებგვერდმა საკალათბურთო ექსპერტების გამოკითხვაც ჩაატარა და აქ შენგელიამ მეშვიდე ადგილი დაიკავა, ვალანჩიუნასი კი პირველი იყო და მას კონკურენციას უწევდა ესპანელი ნიკოლა მიროტიჩი.

გამოკითხვის ორგანიზატორებმა გულშემატკივართა და სპეციალისტთა ხმები შეაჯამეს და ამ მეორე მაჩვენებელს მიანიჭეს უპირატესობა. ასეთ გაერთიანებულ სიაში კი შენგელია მეექვსე ადგილზეა, ვალანჩიუნასი კი ევროპის საუკეთესო ახალგაზრდად დასახელდა.

შენგელიასთვის 2011 წელი გამორჩეული იყო. მან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ბ დივიზიონი მოაგებინა, თავად კი ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა კონკურენტებთან ზარმაზარი უპირატესობით. იგი საშუალოდ 29.9 ქულას და 12.0 მოხსნას აგროვებდა.

ვალანჩიუნასმა თავის მხრივ ლიტვის ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა საშუალო პირადი მაჩვენებლით 23.0 ქულა და 13,9 მოხსნა.

ვალანჩიუნასი და შენგელია ერთმანეთს მოედანზეც შეხვდნენ, ლიტვაში გამართული ევროპის ჩემპიონატის წინ ლიტვამ ამხანაგურ შეხვედრაში 88:80 დაამარცხა საქართველო. ამ მატჩში შენგელიამ 15 ქულა მოაგროვა, ვალანჩიუნასი კი 2 ქულას დასჯერდა.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატს, აქ შენგელია 20,5 წუთში საშუალოდ 8,8 ქულას და 4,6 მოხსნას აგროვებდა. ვალანჩიუნასის მაჩვენებელი იყო 15,7 წუთში 8,4 ქულა და 4,1 მოხსნა.

**გულშემატკივართა გამოკითხვა:**

1.თორნიკე შენგელია – 26.322; 2.იონას ვალანჩიუნასი – 13.491; 3.ნიკოლა მიროტიჩი – 11.693; 4.ალესანდრო ჯენტილე – 9.404; 5.ალეხანდრო აბრინესი – 8.683; 6.პჟემისლავ კარნოვსკი – 7.102; 7.ენეს კანტერი – 6.693; 8.ალექსანდერ ცვეტკოვიჩი – 6.134; 9.დარიო სარიჩი – 5.891; 10.დმიტრი კულაგინი – 3966

**ექსპერტების გამოკითხვა:**

1.იონას ვალანჩიუნასი – 569; 2.ნიკოლა მიროტიჩი – 478; 3.ენეს კანტერი – 183; 4. დარიო სარიჩი – 114; 5.ალესანდრო ჯენტილე – 84; 6.ალექსანდერ ცვეტკოვიჩი – 66; 7.თორნიკე შენგელია – 42; 8.პჟემისლავ კარნოვსკი – 26; 9.დმიტრი კულაგინი – 24; 10.ალეხანდრო აბრინესი – 9

**ჯამური შედეგი:**

1.იონას ვალანჩიუნასი – 0.263; 2.ნიკოლა მიროტიჩი – 0.222; 3.ენეს კანტერი – 0.087; 4.დარიო სარიჩი – 0.056; 5.ალესანდრო ჯენტილე – 0.046; 6.თორნიკე შენგელია – 0.045; 7.ალექსანდერ ცვეტკოვიჩი – 0.035; 8.პჟემისლავ კარნოვსკი – 0.019; 9.დმიტრი კულაგინი – 0.015; 10.ალეხანდრო აბრინესი – 0.013



# საქართველომ ესპანეთთან ქულები და ადგილი დაკარგა

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მარცხი მადრიდში ესპანეთთან – 18:25 უარყოფითად აისახა რაგბის საერთაშორისო საბჭოს ყოველკვირეულ რეიტინგში. ჩვენებმა 1,77 ქულა დაკარგეს და ერთი საფეხურით დაქვეითდნენ. დაკარგულის ანაზღაურება ქართველ მორაგბეებს თებერვლის ბოლოს, მარტის შუამდე შეეძლებათ, ოღონდ ერთმანეთის მიყოლებით პორტუგალიის, რუმინეთისა და რუსეთის ნაკრებები უნდა დაამარცხონ. თუმცა, თუ ესპანელებთან ნათამაშები ხარისხი არ გაუმჯობესდა, სავარაუდოდ, ბორჯღალოსნები კიდევ უფრო დაქვეითდებიან.

მოგებამ ესპანელებსაც ამდენივე ქულა შესძინა და მე-19 საფეხურზე აღზევდნენ. საერთოდაც, ოცეულში ესპანელები პირველად მოხვდნენ და უკან ნამიბიის, ურუგვაისა და რუსეთის ნაკრებები მოიტოვეს.

ჩვენი ნაკრების კიდევ ერთმა მეტოქემ, რუსებმა ლისაბონში პორტუგალიის დაძაბულ ბრძოლაში 33:32 ძლევით, 1,15 ქულა მიიღო, მაგრამ რადგან ესპანეთმაც იმარჯვა, მე-20 საფეხურს ვერ ასცდნენ, უბრალოდ, მათ წინ ახლა ნამიბიის ნაცვლად ესპანეთის ნაკრებია. აღსანიშნავია, რომ ერთი ხანობა პორტუგალიის ნაკრები 20:9 იგებდა, მაგრამ რუსებმა იმდენი მოახერხეს, რომ 33:20 დაწინაურდნენ. მერე მასპინძლებმა გაიბრძოლეს, მაგრამ სხვაობის მინიმუმამდე დაყვანალა შეძლეს.

ამ მატჩში პორტუგალიამ 4 ლელო გაიტანა და 7 ქულაზე ნაკლები სხვაობით მარცხისთვის და 4 ლელოს გატანისთვის, 2 ქულა (თითო-თითო პრემიალური) მიიღეს. რუსებმა მხოლოდ 3 ლელო გაიტანეს. საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქე პორტუგალიამ, ქულები კი დაკარგა, მაგრამ რეიტინგში 24-ე ადგილი შეინარჩუნა.

რეიტინგში სხვა ცვლილებები არ მომხდარა, პირველი თხუთმეტეულის სია კი ასეთია:

1.ახალი ზელანდია – 91,43; 2.ავსტრალია – 87,99; 3.საფრანგეთი – 84,70; 4.სამხრეთ აფრიკა – 84,34; 5.ინგლისი – 82,81; 6.უელსი – 81,15; 7.არგენტინა – 80,28; 8.ირლანდია – 79,25; 9.ტონგა – 76,63; 10.სამოა – 75,81; 11.შოტლანდია – 75,30; 12.იტალია

# კაპელომ ანჟი უარყო

რუსული მედიის ინფორმაციით, ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი, იტალიელი ფაბიო კაპელო საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებს მახაჭყალის „ანჟისთან“. 65 წლის სპეციალისტს 3-წლიან კონტრაქტს სთავაზობენ, გასამრჯელო კი წელიწადში 10 მილიონი ევრო იქნება!

ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები იმასაც ირწმუნებოდნენ, რომ კაპელო უკვე მოსკოვშია, თუმცა ინგლისის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი ფაბიო კაპელო უარყოფს რუსული „სპორტ ექსპრესის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს „ანჟისთან“ მოსალაპარაკებლად ის კვირა საღამოს მოსკოვს ეწვია.

„ეკიპის“ ჟურნალისტებთან საუბრისას იტალიელმა განაცხადა, რომ ამჟამად შვეიცარიულ კურორტ ზანკტ მორიტცში იმყოფება და ერთადერთს, რასაც უახლოეს მომავალში გეგმავს, დასვენებაა.

– რუსეთში ხომ არ მივემგზავრები? იმედია ხუმრობთ. ახლა მხოლოდ დასვენება მინდა. აქედან გამგზავრებას კიდევ ერთი კვირა არსად ვგეგმავ. მერე კი ბოლონიაში ვარ მიწვეული, – აცხადებს კაპელო.



ფაბიო კაპელო

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პირველი დივიზიონი**

სოსიედადი-სევილია .................. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 22 | 19 | 1 | 2 | 75:21 | 58 |
| 2.ბარსელონა | 22 | 14 | 6 | 2 | 63:16 | 48 |
| 3.ვალენსია | 22 | 11 | 7 | 4 | 35:22 | 40 |
| 4.ლევანტე | 22 | 9 | 5 | 8 | 29:29 | 32 |
| 5.ესპანიოლი | 22 | 9 | 5 | 8 | 25:26 | 32 |
| 6.ატლეტიკო | 22 | 8 | 7 | 7 | 31:27 | 31 |
| 7.ოსასუნა | 22 | 7 | 10 | 5 | 26:35 | 31 |
| 8.მალაგა | 21 | 9 | 4 | 8 | 27:30 | 31 |
| 9.ბილბაო | 22 | 7 | 9 | 6 | 34:30 | 30 |
| 10.რაიო | 22 | 8 | 4 | 10 | 27:32 | 28 |
| 11.სოსიედადი | 22 | 7 | 6 | 9 | 25:30 | 27 |
| 12.ხეტაფე | 22 | 7 | 6 | 9 | 22:29 | 27 |
| 13.სევილია | 22 | 6 | 8 | 8 | 22:26 | 26 |
| 14.ბეტისი | 22 | 8 | 2 | 12 | 25:31 | 26 |
| 15.ვილიარეალი | 22 | 6 | 8 | 8 | 23:30 | 26 |
| 16.მალიორკა | 22 | 6 | 7 | 9 | 19:28 | 25 |
| 17.რასინგი | 22 | 4 | 11 | 7 | 18:26 | 23 |
| 18.გრანადა | 21 | 6 | 4 | 11 | 15:30 | 22 |
| 19.ხიხონი | 22 | 5 | 4 | 13 | 20:43 | 19 |
| 20.სარაგოსა | 22 | 3 | 6 | 13 | 18:38 | 15 |

**იტალია. სერია ა**

ნაპოლი-კიევო ........................... 2:0

სიენა-რომა .............................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 23 | 14 | 5 | 4 | 45:20 | 47 |
| 2.იუვენტუსი | 21 | 12 | 9 | 0 | 33:13 | 45 |
| 3.უდინეზე | 23 | 12 | 5 | 6 | 34:22 | 41 |
| 4.ლაციო | 22 | 11 | 6 | 5 | 34:22 | 39 |
| 5.ინტერი | 23 | 11 | 3 | 9 | 34:30 | 36 |
| 6.რომა | 23 | 10 | 5 | 8 | 36:27 | 35 |
| 7.ნაპოლი | 23 | 8 | 10 | 5 | 38:24 | 34 |
| 8.პალერმო | 23 | 9 | 4 | 10 | 33:34 | 31 |
| 9.კალიარი | 23 | 7 | 9 | 7 | 22:24 | 30 |
| 10.ჯენოა | 22 | 9 | 3 | 10 | 31:42 | 30 |
| 11.ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 23:19 | 28 |
| 12.კატანია | 21 | 6 | 9 | 6 | 27:29 | 27 |
| 13.პარმა | 21 | 7 | 6 | 8 | 27:34 | 27 |
| 14.კიევო | 23 | 7 | 6 | 10 | 19:30 | 27 |
| 15.ატალანტა | 22 | 7 | 9 | 6 | 25:27 | 24 |
| 16.სიენა | 22 | 5 | 8 | 9 | 22:22 | 23 |
| 17.ბოლონია | 21 | 5 | 7 | 9 | 18:26 | 22 |
| 18.ლეჩე | 23 | 4 | 6 | 13 | 22:38 | 18 |
| 19.ჩეზენა | 21 | 4 | 4 | 13 | 13:31 | 16 |
| 20.ნოვარა | 23 | 3 | 7 | 13 | 20:42 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფორტუნა-აინტრახტი .................. 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მონაკო-ბასტია .............................. 0:1

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

ტილბურგი-ჰელმონდი ................. 3:3

**პორტუგალია. ა ლიგა**

აკადემიკა-ჟილ ვისენტე .............. 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბენფიკა | 18 | 15 | 3 | 0 | 47:15 | 48 |
| 2.პორტუ | 18 | 13 | 4 | 1 | 42:12 | 43 |
| 3.ბრაგა | 18 | 12 | 4 | 2 | 35:16 | 40 |
| 4.სპორტინგი | 18 | 9 | 5 | 4 | 29:16 | 32 |
| 5.მარიტიმუ | 18 | 9 | 5 | 4 | 26:21 | 32 |
| 6.გიმარაეში | 18 | 8 | 2 | 8 | 24:19 | 26 |
| 7.ჟილ ვისენტე | 18 | 5 | 7 | 6 | 19:27 | 22 |
| 8.ოლჰანენსე | 18 | 5 | 6 | 7 | 20:24 | 21 |
| 9.აკადემიკა | 18 | 5 | 5 | 8 | 18:22 | 20 |
| 10.ნასიონალი | 18 | 5 | 4 | 9 | 17:31 | 19 |
| 11.რიუ ავე | 18 | 5 | 3 | 10 | 16:23 | 18 |
| 12.ფერეირა | 18 | 5 | 3 | 10 | 23:36 | 18 |
| 13.ბეირა მარი | 18 | 4 | 4 | 10 | 14:17 | 16 |
| 14.ფეირენსე | 18 | 3 | 6 | 9 | 13:27 | 15 |
| 15.ლეირია | 18 | 4 | 2 | 12 | 18:37 | 14 |
| 16.სეტუბალი | 18 | 3 | 5 | 10 | 14:32 | 14 |

**არგენტინა. კლაუსურა**

კოლონი-სარანდი .......................... 0:0

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ორლანდო-მინესოტა ............. 102:89

შარლოტი-ფილადელფია ......... 89:98

მილუოკი-მაიამი ..................... 96:114

ნიუ ორლეანი-იუტა ................. 86:80

დალასი-კლიპერსი .................. 96:92

გოლდენ სტეიტი-ფინიქსი ...... 102:96

**ჩოგბურთი**

**ვტა. დოჰა. ქატარი**

პირონკოვა-ჰერცოგი ............. 6:0;6:4

ბარტელი-გარსია .................... 7:6;7:6

ივანოვიჩი-სუარეს ნავარო .... 6:1;6:1

ვოზნიაკი-ლეპჩენკო .............. 3:6;3;6

მაკჰეილი-სჰეპერსი ................ 6:4;6;3

კუზნეცოვა-მარტინეს სანჩესი 7:5;6:3

ნიკულესკუ-ვესნინა ............... 6:1;6:0

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-სან ხოსე .................. 3;5

მონრეალი-კაროლინა .................. 3:5

ვანკუვერი-ფინიქსი .............. 1:1(1:0ბ)

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ირაკლი ნასიძემ სამკაულების კოლექცია შექმნა

ეკა ირემაშვილი

საფრანგეთში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა დიზაინერმა ირაკლი ნასიძემ უკვე დაასრულა ახალ კოლექციაზე მუშაობა, რომელიც ამჯერად ტანსაცმლის ნაცვლად, სამკაულების კოლექციაა. ქართველი დიზაინერის ახალ კოლექციაზე შექმნილ ესკიზებზე საიუველირო კომპანია „ზარაფხანამ“ იმუშავა. ირაკლი ნასიძის სამკაულების კოლექციას უკვე აქვს სრულყოფილი სახე და ახალი სამკაულები გაყიდვაში 15 თებერვლიდან გამოჩნდება.

საკმაულების კოლექციის პრეზენტაცია საიუველირო კომპანია „ზარაფხანას“ განახლებულ საფირმო მაღაზიაში დაიგეგმა. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი დიზაინერი კომპანია „ზარაფხანას“ იმიტომ ენდო, რომ ამ კომპანიას საქართველოში ყველაზე დიდი, 70 წლიანი გამოცდილება აქვს საიუველირო ნაწარმის შექმნაში. კომპანიის ნაკეთობები გამოირჩევა ორიგინალურობით და დახვეწილი დიზაინით. „ზარაფხანა“ მუდმივად ცდილობს, რომ შეინარჩუნოს და განავითაროს ქართული ოქრომჭედლობის საუკეთესო ტრადიციები და ამავდროულად იყოს თანამედროვე ტენდენციების გამტარებელი.

ირაკლი ნასიძის საკმაულების კოლექციაში 13 მოდელია გაერთიანებული. თითოეული მათგანი შესრულებულია 585 სინჯის ოქროში და გაწყობილია ძვირფასი ქვებით. სამკაულები ძირითადად განკუთვნილია მაღალგემოვნებიანი მომხარებლებისთვის, ვისთვისაც საინტერესოა თანამედროვე მოდის ტენდენციები.

ირაკლი ნასიძის ესკიზების მიხედვით შექმნილი ახალი სამკაულების ფასები 425 ლარიდან იწყება და 8.000 ლარამდე მერყეობს. მათ შორის არის ლიმიტირებული მოდელი, რომელიც მხოლოდ ექსკლუზიური შეკვეთით მზადდება.

— ფრინველები ის ქმნილებებია, რომელიც ჩემს შემოქმედებაში გაიდეალებულია და განსაკუთრებული პრიორიტეტებით სარგებლობს. მათ მითოლოგიურ დატვირთვას ყოველთვის ხიბლში მოვყავდი. ეს ქმნილებები ჩემს ხელოვნებას ასხამენ ფრთებს და შემდეგ სილამაზისა და ოცნებების კალეიდოსკოპში ამოგზაურებენ. კოლექციის საწყისია ფრაგმენტული შეხვედრა ადამიანთან, რომლის სილამაზემ, სულის თავისუფლებამ, მისმა სამყაროს აღქმამ და სიკეთემ, საწყისი მისცა კოლექციის შექმნას. მე მას გაცნობამდე სამოთხის ჩიტად აღვიქვამდი, ამიტომაც ერთ-ერთ სამკაულს „ჩემო საყვარელო ჩიორა“ ვუწოდე. ეს ის სამკაულია რომელიც სიმბოლურად ადამიანის სულიერ სიმშვიდეს, სიყვარულს, სიკეთეს, თავისუფლებასა და მეგობრობას აგვირგვინებს, — ამბობს ქართველი დიზაინერი ირაკლი ნასიძე.



ირაკლი ნასიძე

საიველირო კომპანია „ზარაფხანაში“ კი აღნიშნავენ, რომ კომპანიისათვის დიდი პატივია თანამშრომლობა ირაკლი ნასიძესთან, რომელმაც დაუღალავი შრომითა და მიზანსწრაფულობით მიაღწია იმას, რომ მისი სახელი გასცდა საქართველოს ფარგლებს. დღეს მოდის სამყაროში ირაკლი ნასიძის აზრს, იდეებსა თუ შემოქმედებას პატივს სცემენ. ქართველმა დიზაინერმა ღირსეულად დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი პარიზის მოდის უმაღლეს ლიგაში, რომელიც აერთიანებს ისეთ ცნობილ ბრენდებს როგორიცაა კრისტიან დიორი, ნინა რიჩი, ივ სენ ლორანი.

სიახლე, რომ ირაკლი ნასიძე სამკაულების კოლექციაზე იწყებდა მუშაობას, ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე გახდა ცნობილი. მაშინ ქართველი დიზაინერი კოლექციის ორიგინალობის დაკონკრეტებისგან თავს იკავებდა და მხოლოდ იმას აცხადებდა, რომ თითოეული სამკაული ლითონისგან დამზადდებოდა, მაგრამ „ისინი ცოცხლები იქნებოდნენ“.

ირაკლი ნასიძემ ეს კოლექცია ფრანგი მხატვრის ანრი რუსოს ნახატებს შეადარა.

— ეს კოლექცია არ არის განკუთვნილი კონკრეტულად ქართველი ქალებისთვის, რადგან ჩემი შემოქმედება მთელი მსოფლიოს ქალებს ეძღვნება. მიმაჩნია, რომ ხელოვნებაში არ არსებობს ეროვნება და საზღვრები. ჩემთვის კოლექციის შთაგონების წყარო არის ის, რაც ასოცირდება თავისუფლებასა და სიკეთესთან. ამ შემთხვევაში მე პრიორიტეტი მივანიჭე ფრინველებს. ფრინველები ყოველთვის აქტუალურები არიან ჩემს ხელოვნებაში თავიანთი სიმბოლური დატვირთვით, პლასტიკით, მოძრაობით, იდუმალებით. სამკაულები შესრულებულია ძვირფას ლითონში და ძვირფასი ქვებითაც არის მორთული. სულ 13 მოდელი შეიქმნა. კოლექციაშია ექსკლუზიური ნაკეთობებიც, რომლებსაც შეზღუდული რაოდენობით გამოვუშვებთ. ეს იქნება ბეჭდები. თითოეული ნამუშევარი იქნება დანომრილი, ხელით შესრულებული და არა ყალიბში ჩამოსხმული, ინდივიდუალურად მორგებული იმ ადამიანზე, ვისაც ამ ბეჭდის შეძენის სურვილი ექნება, — აღნიშნავს დიზაინერი.

ირაკლი ნასიძის ესკიზებით შექმნილი სამკაულები გათვლილია საშუალო და მაღალი ანაზღაურების მქონე ადამიანებისთვის. თავად დიზაინერი დარწმუნებულია, რომ ამ პროექტს სრული წარმატება ექნება.

# ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში ვერ ერკვევა!

დასაწყისი მე-7 გვერდზე



მამუკა გიორგაძე

— აქ ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ბრძოლა სააკაშვილის წინააღმდეგ და ბრძოლა საქართველოსათვის. სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა რთული არ არის. სააკაშვილის წინააღმდეგ შესაძლებელია ძალიან ბევრი ნაბიჯის გადადგმა და მისი იოლად ჩამოცილება ხელისუფლებისაგან. ეს დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, თუკი სწორი ბრძოლის მექანიზმები იქნება ამუშავებული. გაცილებით მნიშვნელოვანია ბრძოლა საქართველოს ასაშენებლად. აქ უფრო მეტი ენერგია, ცოდნა, გამოცდილება, პოლიტიკური ალღო და სხვა თვისებებია საჭირო. უფრო მეტიც: გუნდი ამ საქმეშია საჭირო. მარტო აღებული სწორად მიმავალი ლიდერი და მასა სრულიად საკმარისია სააკაშვილის რეჟიმის გასასტუმრებლად, მაგრამ არ არის ის საკმარისი საქართველოში ნორმალური ქართული სახელმწიფოს ასაშენებლად. აქ უკვე გუნდია საჭირო. რამდენად სწორად იქნება ეს გუნდი, პრიორიტეტები შერჩეული, რამდენად სწორად გაითავისებს მთელი ოპოზიციური მოძრაობა ამოცანას და ამ ამოცანის შესრულებაში საკუთარ ადგილს, იმაზე იქნება დამოკიდებული შედეგიც. სააკაშვილს დღეს თუ არა ხვალ ვადა ეწურება და მისი გასტუმრება შეიძლება ისეთი პროცესების თანმდევი გახდეს, რომლებიც საქართველოსთვის სასარგებლო არც იყოს. წასვლაში არ არის პრობლემა, პრობლემაა სახელმწიფოს აშენებაში. ამას შესაბამისი გუნდი სჭირდება და სწორედ აქ უნდა გამოიჩინოს ბიძინა ივანიშვილმა ლიდერისა და ის თვისებები, რომლებიც საჭიროა ამ ამოცანის შესასრულებლად.

***— პრეზიდენტ ობამას განცხადებამ ხელისუფლების ფორმალურ ჩანაცვლებაზე ბევრში უკმაყოფილება გააჩინა. რა ტიპის ცვლილებას უნდა ველოდეთ საპარლამენტო არჩევნებისას იმ ფონზე, როცა ფაქტია, რუსული მედია სერიოზულად აპიარებს ვანო მერაბიშვილს თავისი რეფორმებით და სააკაშვილის სხვა რეფორმებს....***

— ეს შემთხვევითი არ არის. დღეს ძალიან დიდ შეცდომას უშვებს ქართული პოლიტიკური სპექტრი, როდესაც მიიჩნევს, რომ დასავლეთია სააკაშვილის მფარველი. არანაირი ფაქტობრივი არგუმენტი ამის დასამტკიცებლად არ არსებობს, თუ არა მხოლოდდამხოლოდ ე.წ. ვერბალური განცხადებები, მაშინ როდესაც რუსეთის მხრიდან არის ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება. ფაქტობრივად, რუსეთის სპეცსამსახურები უზრუნველყოფენ სააკაშვილს ყოველდღიური საშუალებებით, რათა მან ხელისუფლება შეინარჩუნოს და იმ ჯგუფს გადასცეს, რომელიც ყველაზე მეტად მისაღები იქნება რუსეთის ხელისუფლებისა და სპეცსამსახურებისათვის. პრაქტიკულად, რუსეთის უმაღლესი პირები ჩართული არიან სააკაშვილის პიარ-კამპანიაში. საქართველოში თემა რომ შემოაკლდებათ ანდა რაიმე კრიტიკულ სიტუაციაში ჩააყენებენ სააკაშვილს, რუსეთი მაშინვე უზრუნველყოფს ისეთი თემებით, რომელიც სააკაშვილს, როგორც წყალწაღებულს, ამოიყვანს და ნაპირზე დააყენებს. შესაბამისად, სააკაშვილიც რუსეთს დავალებებს ყველანაირად უსრულებს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მთელი ეკონომიკა, ენერგეტიკა, შიდა ქართული ცხოვრება ჩააყენა რუსეთის სამსახურში. პოლიტიკურადაც, პრაქტიკულად, უზრუნველყოფს რუსეთს საბაბით იმისათვის, რომ მან თავისი თავი წარმოაჩინოს, როგორც გლობალური პოლიტიკური მოთამაშე, ეხმარება აგრეთვე რუსეთისთვის შიდა მოხმარებისთვის საჭირო პიარის განსახორციელებელი თემატიკის მიწოდებით და ა.შ. ასე რომ, ძალიან კარგად თანამშრომლობენ. ბუნებრივია, ეს თანამშრომლობა ინიღბება ისტერიკამდე მისული რიტორიკით, რაც ბუნებრივ ვითარებაში დაუშვებელია, სახელმწიფოთა შორის არსებობდეს. ეს ლილიპუტინს დაუძახებს, ის — ერთი ადგილით ჩამოკიდებას აპირებს. ისტერიკამდე მისული რიტორიკის ფონზე ხდება მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის, რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფოს ინტერესებისა და ქართველი ხალხის ხარჯზე. ეს ცალსახაა. ე.წ. შემოდგებულ თემებს, როგორც წესი, ან საქმეში ჩაუხედავი ადამიანები ახმოვანებენ, ანდა პირდაპირ რუსული აგენტურა, რომ სააკაშვილი არის პროდასავლელი, ობამაზე მიბმული პოლიტიკოსი და ა.შ. ამ პიარის გამოა, რომ საზოგადოებას უჭირს, სრულად გაარკვიოს სააკაშვილის ნაბიჯების დამღუპველობა.

# საზღვაო აკადემიაში მუზეუმი გაიხსნება

ეკა ირემაშვილი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მუზეუმი გაიხსნება, რომლის ჩამოყალიბებაშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი. ამ საკითხთან დაკავშირებით, ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორმა ნიკოლოზ წიკლაურმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს საზღვაო თემატიკაზე აკადემიის შენობაში მუზეუმის გახსნას და ის მთლიანად საზღვაო დარგს მიეძღვნება.

ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის თეონა იაშვილისა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის ნიკოლოზ წიკლაურის მიერ ხელმოწერილი თანამშრომლობის მემორანდუმი ითვალისწინებს აკადემიისათვის საზღვაო დარგთან დაკავშირებით საარქივო მასალების ასლების მიწოდებას, მუზეუმის გახსნას, ერთობლივი გამოფენებისა და სამეცნიერო შეხვედრების მოწყობას.

ეროვნულ არქივში დაცულია ბათუმის საზღვაო აკადემიასა და საზღვაო თემატიკასთან დაკავშირებული როგორც წერილობითი, ისე ფოტომასალა. მათ შორის არის 1921 წელს გამოცემული დეკრეტი, რომლითაც ბათუმის საზღვაო სკოლა დაარსდა, პირველი კურსანტების სიები, ხარჯთაღრიცხვები, რომელიც ინფორმაციას გვაწვდის სასწავლებლის განყოფილებებისათვის შეძენილი ინვენტარის თაობაზე. ფოტოარქივშია კადრები, რომელიც ასახავს საზღვაო სკოლაში თეორიული და პრაქტიკული სწავლების პროცესს.

თეონა იაშვილი, ეროვნული არქივის ხელმძღვანელი:

— საქართველოს ეროვნულ არქივსა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შორის გაფორმდა მემორანდუმი. ჩვენ ერთად დავიწყებთ შესწავლას ამ ისტორიისა, თუ როგორ დაარსდა ბათუმის საზღვაო აკადემია, როგორ განვითარდა, რას საქმიანობდა, ვინ სწავლობდა და როგორ მოღვაწეობდა საზღვაო აკადემია და ამის ფარგლებში გამოვლენილი დოკუმენტებით შეიქმნება ერთობლივი მუზეუმი. ეროვნული არქივი მაქსიმალურ დახმარებას გაუწევს საზღვაო აკადემიას ეროვნულ საარქივო ფონდში საზღვაო თემატიკაზე დაცული მასალების შერჩევაში, სამეცნიერო კვლევასა და შემდგომ მუზეუმის დაფუძნებაში.

**ნიკოლოზ წიკლაური, ბათუმის საზღვაო აკადემიის რექტორი:**

— საბედნიეროდ, საქართველოში საზღვაო განათლებას დიდი ისტორია აქვს. ამ მუზეუმის ჩამოყალიბება არის მნიშვნელოვანი არა მარტო ჩვენი სტუდენტებისთვის, არამედ იმ სტუმრებისთვისაც, რომლებიც ჩამოვლენ ჩვენს აკადემიაში. მიგვაჩნია, რომ სწორედ დროულია ეროვნულ არქივთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, რადგან ბათუმის საზღვაო აკადემიას მუზეუმი ნამდვილად უნდა ჰქონდეს. ეს დოკუმენტი კი საშუალებას მოგვცემს ერთბლივი ძალებით მუზეუმი დავაარსოთ.

# ქართულმა ტელემაუწყებლობა ივერიამ“ თანამგზავრით მაუწყებლობის ლიცენზია მიიღო

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „ქართული ტელემაუწყებლობა ივერიის“ სამაუწყებლო ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. როგორც „ნიუსპრესს“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან აცნობეს, კომისიამ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაიწყო.

კომპანია თავისი ლიცენზიის ტექნიკური პარამეტრების იმგვარ ცვლილებას ითხოვდა, რომ კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის ფარგლებში შემუშავებული სამაუწყებლო ბადის, ამავე ლიცენზიით განსაზღვრული პირობებით, თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების მეშვეობით გავრცელების საშუალება მისცემოდა.

„ქართულმა ტელემაუწყებლობა ივერიამ“ საკაბელო ქსელის გამოყენებით სამაუწყებლო ლიცენზია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით მიიღო. ლიცენზიის სახე კერძო ტელემაუწყებლობაა, სახეობა კი საერთო ტელემაუწყებლობა. კომპანიის დაფარვის გეოგრაფიული არეალი მოიცავს თბილისს, ბათუმს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, ფოთს, სენაკის მუნიციპალიტეტს, ქუთაისსა და რუსთავს.

ნიუსპრესი



## hჳჯცდჯჳცბ ,

**შვეულად**: 1. ეგრისის მთავარი მე-6 საუკუნეში; 2. სახალხო დღესასწაული, ზეიმი ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 3. ქიმიური ელემენტი, რომელიც სიბნელეში ანათებს; 4. პოპულარული ამერიკული სიგარეტი; 5. მე-16 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 7. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 11. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 13. ჰაერის გაუხშოებული მდგომარეობა ჰერმეტულ ჭურჭელში; 14. ეგვიპტის ძველი დედაქალაქი; 15. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 17. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 19. ტბა ჩრდილოეთ იტალიაში.

**თარაზულად**: 5. უხუცესთა საბჭო ძველ საბერძნეთში; 6. გამოქვაბულებში, ნაპრალებში, მიწისქვეშეთში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესი; 8. შეკრული მორები მდინარეზე დასაცურებლად; 9. ციხესიმაგრე ბათუმის მახლობლად; 10. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 11. ფეხბურთის სათამაშო სპეციალური ფეხსაცმელი; 13. ყველაზე დიდი ჩანჩქერი აფრიკაში; 14. ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფი; 16. ქართველი კინორეჟისორი; 18. ხელოვნური მარმარილო; 20. რაიმე მოქმედების აღმძვრელი ბიძგი, მიზეზი; 21. მოყვარული მოტოციკლეტისტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## ობყფ ყჯვცჳიბ უფვჯმდც.ყც,ეჯბ hჳჯცდჯჳლც,ბც გფცეlც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვუდსი; 2. ბისტრო; 4. ადიგენი; 5. „ავერსი“; 6. ალავერდი; 7. ბირთვისი; 10. ბრიზი; 12. გავიალი; 13. პლატინა; 16. ხეოფსი; 17. ნიაგარა; 18. ვირუსი; 19. ხოხობი; 21. ღვინო.

**თარაზულად:** 3. პულსაცია; 8. ალმასი; 9. ინტელექტი; 11. ასმათი; 12. გერანი; 14. დევიზი; 15. „მალპენსა“; 20. ლალიძე; 22. ტიციანი; 23. დოკი; 24. ნიკოფსია; 25. გორი; 26. ზარაფი; 27. ჯინსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ძეწკვი; 2. ქიზიყი; 3. კეიტონი; 4. ჯინჯილა; 5. იორდანე; 7. კამბუზი; 11. აბული; 12. ნიანგი; 13. პარხალი; 14. სლოვანი; 15. პირმშო; 17. სტოუნი; 19. ფიტი.

**თარაზულად:** 5. ინჟენიუ; 6. გოდერძი; 8. ყუმი; 9. ბოლტი; 10. აქციზი; 11. აურა; 13. პიკადორი; 14. სეული; 16. ისანი; 18. „ხიხვი“; 20. ნიუტონი; 21. „შაჰნამე“.

# ესპანეთის ავიაკომპანიამ გაფიცვის გამო ასობით ავიარეისი გადადო

ესპანეთის ავიაკომპანია „იბერიამ“, თანამშრომელთა გაფიცვის გამო, ასობით ავიარეისი გადადო.

უცხოური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, „იბერიას“ თანამშრომლები ანალოგიური, მაგრამ საბიუჯეტო დოტაციაზე მყოფი ახალი ავიაკომპანია „იბერია ექსპრესის“ შექმნას აპროტესტებენ, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ მათ ხელფასებს შეუმცირებენ.

ავიაკომპანია „იბერიას“ ხელმძღვანელობამ 17-20 თებერვალს 270 შიდა რეისი გადადო. ასევე, გადაიდო ევროპის ქვეყნების რეგულარული რეისებიც.

10 000-მდე მგზავრი სხვა რეისებზე უკვე გადაანაწილეს, ზოგიერთს კი ფულადი კომპენსაცია მიეცა.

ავიაკომპანიაში გაფიცვა 24-29 თებერვალსაცაა დაანონსებული, რის გამოც ავიარეისები კვლავ გადაიდება.

ესპანური ავიაკომპანია იბერიას მთავარი აეროპორტებია მადრიდის ბარახასას აეროპორტი და ბარსელონას ელ-პრატის აეროპორტი. კომპანია მის შვილობილ კომპანია „იბერია რეგიონალთან“ ერთად, „იბერია გრუპის“ შემადგენელი ნაწილია. კომპანია რეისებს 102 მიმართულებით ასრულებს მსოფლიოს 39 ქვეყანაში. ხოლო სხვა კომპანიებთან კოდ-შერინგის შედეგად, ასევე დაფრინავს 90 სხვა მიმართულებით.

კომპანია დაარსდა 1927 წლის 28 ივნისს, ესპანელი ბანკირის, ჰორასიო ესებერიეტასა და გერმანული ავიაკომპანია ლუფტჰანზას ინვესტიციებით. ფრენების განხორციელება დაიწყო ამავე წლის 14 დეკემბერს.

ამ წლის განმავლობაში, იბერიას ასპონსორებდა ესპანეთის მთავრობა, რომელიც მას მადრიდსა და ბარსელონაში საფოსტო გზავნილების გადასაზიდად იყენებდა. ვინაიდან ამ პერიოდში, დიქტატორ მიგელ პრიმო დე რივერას მმართველობისას, ესპანეთის ავიაცია ძირითადად სახალხო საჭიროებისთვის გამოიყენებოდა, მოხდა ესპანური ავიაკომპანიების შერწყმა. 1929 წლის 29 მაისს, იბერია სხვა ავიაკომპანიამ შთანთქა. მაგრამ სახელი „იბერია“, კომპანიის გენერალურმა დირექტორმა მაინც დარეგისტრირებული და-



ტოვა. ესპანეთის სამოქალაქო ომის მიწურულს, იბერია კვლავ გამოდის ასპარეზზე, როგორც წმინდა შინაური ავიაკომპანია.

1944 წლის 30 სექტემბერს, ხდება იბერიის ნაციონალიზება. 1946 წელს, იბერია ხდება პირველი ავიაკომპანია ევროპაში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პირველად ასრულებს ფრენას ევროპასა და სამხრეთ ამერიკას შორის რეისით მადრიდი - ბუენოს-აირესი.

1953 წელს, მადრიდის პაქტის შედეგად, აშშ-ის მოქალაქეებისთვის ესპანეთში ჩასვლა უვიზო ხდება, რაც დიდი სტიმული აღმოჩნდა იბერიასათვის და იწყება ტრანსატლანტიკური რეისები ამ ორ ქვეყანას შორის.

1981 წელს, კომპანიის დაბადების 50 წლისთავზე, მგზავრების რიცხვმა წელიწადში 10 მლნ შეადგინა, ხოლო 2002 წელს, დაბადებიდან ამ დრომდე გადაყვანილი მგზავრების რიცხვმა 500 მლნ შეადგინა. 2009 წლის 12 ნოემბერს, იბერიამ დაადასტურა, რომ მას მიღწეული აქვს მოლაპარაკებები ბრიტანულ ავიაკომპანია „ბრითიშ ეარვეისთან“, მათი შერწყმის თაობაზე და რომ ამ ორი კომპანიის შეერთებით იგეგმება მსოფლიოს ავიაკომპანიებს შორის შემოსავლების სიდიდით მესამე კომპანიის ჩამოყალიბება.

2010 წლის 8 აპრილს, კომპანიებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს მათი შერწყმის შესახებ, რომელიც 2011 წლის იანვარში დასრულდა. ახალი კომპანიის სახელია იქნება „ინტერნეიშნალ ეირლანს გრუპი, თუმცა, ორივე კომპანია ფუნქციონირებას ძველი ბრენდის სახლეის ქვეშ განაგრძობს.

# უცნობმა ლატარიაში 336,4 მილიონი დოლარი მოიგო

**აშშ–ში უმსხვილესი ლატარიის „პაურბოლის“ მფლობელებმა განაცხადეს, რომ გათამაშდა ჯეკ–პოტი, რომლის მოცულობა 336,4 მლნ დოლარია. თუმცა, ამ დროისათვის გამარჯვებულის ვინაობა უცნობია. ბედნიერი ბილეთი შეძენილია ნიუპორტში, მაღაზია სტოპ ენდ შოპში, 9 დოლარად.**

გამარჯვებულს თანხის გატანა ერთი წლის განმავლობაში შეუძლია და როგორც ლატარიის ორგანიზატორები აცხადებენ, გამარჯვებული ყოველგვარი გადასახადების გადახდისა და გარკვეული ვალდებულებების გასტუმრების შემდეგ 210 მლნ. დოლარის მფლობელი გახდება.

– ეს არის უმსხვილესი თანხა ლატარია „პაურბოლას“ ისტორიაში. ვიმედოვნებთ, რომ გამარჯვებულის ვინაობასაც მალე გავიგებთ, - განაცხადა ლატარიის წარმომადგენელმა.

ამ ფონზე ინტერესს იწვევს მსოფლიოს ათი ყველაზე დიდი ფულადი მოგების ისტორია:

ქალაქი ჰოსპორტი ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობს და ცნობილია თავისი საზღვაო სამხედრო ისტორიით, მაგრამ 2008 წლის ოქტომბერში მისმა სახელმა მსოფლიოს უმსხვილეს გაზეთებში სულ სხვა სახელით გაიჟღერა. ამ ქალაქში დაფიქსირდა ერთ-ერთი ყველაზე წარმოუდგენელი ფულადი მოგება, თანაც მოგებული თანხა, ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია.

მრავალი წლის მანძილზე ელექტრიკოსი მაიკლ მაკდერმოტი ბრიტანული ნაციონალური ლატარიის თითო ბილეთს ყიდულობდა და ერთი და იმავე რიცხვებით ავსებდა. ეს რიცხვები მან თავის მეუღლესთან ერთად შეადგინა: 15, 16, 18, 28, 36, 49. ეს მეთოდი მათემატიკოსებში ალბათ პატივისცემას გამოიწვევს.

მართლაც, რა საჭიროა ყოველ ჯერზე კომბინაციის შეცვლა, თუ ტირაჟი დამოუკიდებელია?! თითოეულ ტირაჟში მაიკის მიერ მოგების შანსი თორმეტი მილიონიდან ერთს უდრიდა, მაგრამ მან მაინც მოიგო. 2002 წლის ივნისში ლოტოტრონზე მაიკის 6 რიცხვიდან 5 ამოვიდა. დამატებითმა საპრიზო ბურთმა კულმინაცია დაასრულა და საბოლოოდ მოგებამ 194 მილიონ 501 ათასი ფუნტი შეადგინა.

მაიკმა ამ თანხით ხმელთაშუა ზღვაზე მდებარე კუნძულ კერკენზე სახლის მშენებლობა წამოიწყო და ჩვეულებისამებრ ლატარიის ბილეთის შევსება მისთვის ბედნიერი რიცხვებით განაგრძო. ეს კი ლოგიკაში არანაირად არ ჯდებოდა. იმის ალბათობა, რომ ერთმა ადამიანმა ორჯერ გაიმარჯვოს ერთსა და იმავე ლატარიაში, 1/150 ტრილიონთანაა. თუმცა იმავე წლის 13 ოქტომბერს ლოტოტრონმა კვლავ მაიკის ნომრები ამოყარა. ამჯერად მოგება 121 მილიონ 157 ათასი ფუნტი იყო.

ამ მოგების შემდეგ მაიკმა საბოლოოდ დაანება თავი მუშაობას და თავის ახალ სახლში დაბინავდა, მაგრამ ლატარიის ბილეთში იღბლიანი რიცხვების ჩაწერას მაინც აგრძელებს.

**1,6 მილიონი დოლარი. დოღი**

1987 წლის აპრილში ინგლისელები ენტონი სპილმენი და ნიკოლას ქოუვანი ფირმის საქმეებზე ლოს ანჟელესში იმყოფებოდნენ. ამერიკაში მათი ვიზიტი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მეგობრებმა სანტა ანიტეს იპოდრომზე წასვლა გადაწყვიტეს და გამგზავრება ერთი დღით გადადეს.

19 აპრილს, დილით ისინი ნაქირავებ „ფორდში“ ჩასხდნენ და გეზი ჩრდილოეთისკენ აიღეს. სანტა ანიტეს ტოტალიზატორის ფსონები პრაქტიკულობით გამოირჩეოდა. არჩევანი იქ ბევრად დიდი იყო ვიდრე ინგლისში. ჩვეულებრივი ფსონების გარდა იქ მიიღებოდა ისეთი ეგზოტიკურები, როგორიც არის მაგალითად პიკ 3, პიკ 6 და პიკ 9. ეს უკანასკნელი მომდევნო 9 გარბენში გამარჯვებული ცხენის ამოცნობას გულისხმობდა. გარდა ამისა ექვსი და მეტი გამარჯვებულის ამომცნობი, ჯეკპოტის გათამაშებაში იღებდა მონაწილეობას.

მეგობრებმა 64 დოლარი დადეს და 9 - დან 7 გამარჯვებული ამოიცნეს. აღმოჩნდა, რომ ამით 24 დღის განმავლობაში დაგროვებული ჯეკპოტი მოხსნეს, რომელიც იმ მომენტისთვის 1'627'024 დოლარს შეადგენდა. ეს გახლავთ დოღების ისტორიაში უმსხვილესი მოგება. რეკორდი დღემდე არავის მოუხსნია.

**2,7 მილიონი დოლარი. პოკერი**

უკვე 35 წელია ლას ვეგასში პოკერის ეროვნული ჩემპიონატი ტარდება. დაბლიუ–პე–ტი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრია, რომელშიც ათასობით მოთამაშე მონაწილეობს. საპრიზო ფონდის ოდენობა მონაწილეთა რაოდენობაზეა დამოკიდებული, რადგან ყველა მოთამაშე 10'000 დოლარის კოჭებს ყიდულობს. რა თქმა უნდა, ფულის გარკვეული ნაწილი ორგანიზატორებს მიაქვთ, მაგრამ საპრიზო ფონდი მაინც სოლიდური რჩება.




2006 წლის შეჯიბრში ორი ათასმა მოთამაშემ მიიღო მონაწილეობა, საპრიზო თანხამ კი, სარეკორდო მაჩვენებელი 2'728'356 დოლარი შეადგინა. რამდენიმედღიანი მარათონი შვედი მარტინ დეკნიფის გამარჯვებით დასრულდა. ჩემპიონი თურმე 20 წლიდან თავს პოკერის თამაშით ირჩენს და რამდენიმე წლის წინ სტოკჰოლმიდან საცხოვრებლად ლას ვეგასში გადმოსულა.

**35 მილიონი დოლარი. სათამაშო ავტომატები**

ლას-ვეგასი წარმოუდგენელი დამთხვევების ქალაქია, სადაც სინტია ჯეი და ტერი ბრენანი ცხოვრობდნენ. სინტია ოფიციანტად მუშაობდა, ტერი კი - ბარმენად. სამუშაო დღის დასრულების შემდეგ ისინი გასართობად სამორინეებს სტუმრობდნენ. სინტიას ბედნიერი რიცხვი 27 იყო, რადგან ამ დღეს მან ტერი გაიცნო. ამიტომ 2009 წლის 27 იანვარს ოტელი „დეზერტ ინის“ სამორინეში მან სათამაშო ავტომატში ზუსტად 27 დოლარის დახარჯვა გადაწყვიტა.

სინტიამ და მისმა მეგობარმა ავტომატში უკანასკნელი 3 დოლარი ჩააგდეს და უკვე წასასვლელად გაემზადნენ, როდესაც აპარატმა თვალისმომჭრელი ციმციმი დაიწყო. ეს არ იყო უბრალო მოგება და არც უბრალო ჯეკპოტი. ეს იყო ყველაზე დიდი ჯეკპოტი სათამაშო ავტომატების ისტორიაში - 34'959'458 დოლარი. სინტიას ამდენი ფული რომ ეშოვნა, ოფიციანტად 1165 წელი უნდა ემუშავა.

სინტია და ტერი დაქორწინდნენ, მაგრამ ორ თვეში საშინელი ავტოკატასტროფა მოხდა, რომლის დროსაც სინტიას და დაიღუპა, თავად მილიონერი კი სამუდამოდ პარალიზებული დარჩა. მისი მეუღლე ტერი ამბობს, მთელ მოგებაზე უარს იტყოდა ძველი ცხოვრება რომ დაებრუნებინა.

**22, 6 მილიონი დოლარი. სათამაშო ავტომატი**

ამჯერად რეიტინგის დარღვევა გვიწევს ქრონოლოგიის სასარგებლოდ. პროგრესირებადი ჯეკპოტის სისტემა „მეგაბაქსი“ აერთიანებს ნევადის 157 სამორინეს ერთდოლარიან ავტომატებს. სწორედ ამ სისტემაზე იყო შეერთებული სინტია ჯეის ავტომატი და იმ მომენტიდან 2002 წლის 27 მაისამდე ახალმა ჯეკპოტმა 22, 6 მილიონი მოგება შეადგინა.

74 წლის იოჰანა ჰოინდლმა თავისი დაბადების დღის არატრადიციულად აღნიშვნა გადაწყვიტა. მან ოტელ „ბელიზის“ სამორინეში 270 დოლარის ღირებულების ჟეტონები იყიდა, თუმცა მათი დახარჯვა ვერ მოასწრო, რადგან პირველსავე ცდაზე ორი წლის განმავლობაში დაგროვებული ჯეკპოტი მოიგო. თავდაპირველად ბებოს ეგონა, რომ 22.000 მოიგო და ამით უზომოდ გაიხარა.

**39,7 მილიონი დოლარი. სათამაშო ავტომატი**

2003 წლის 21 მარტს სინტია ჯეის რეკორდი მოიხსნა. 25 წლის ლოს ანჟელესელმა პროგრამისტმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, ოტელ-სამორინე „ექსკალიბურში“ კალათბურთის მატჩის საყურებლად შეირა. მატჩის ყურებას მან სათამაშო ავტომატთან გართობაც შეუთავსა და კალათბურთის ცქერით გართულმა ვერც კი შეამჩნია, რომ თითქმის 40 მილიონი დოლარის მფლობელი გახდა. ჯეკპოტმა 39'713'982 დოლარი შეადგინა. ეს თანხა გროვდებოდა იმ დღიდან, რაც ლას ვეგასს იოჰანა ჰოინდლი ესტუმრა.

**128 მილიონი დოლარი. ლატარია**

„მეგამილიონი“ სამიდან ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ლატარიაა, რომელიც თავის სახელს სავსებით ამართლებს - მისი ჯეკპოტი რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარს აღწევს. 2003 წლის 20 თებერვლისთვის იგი 128 მილიონამდე გაიზარდა. მომგებიანი კომბინაცია მხოლოდ ერთ ბილეთში აღმოჩნდა, რომელიც 32 წლის ფინ სუის ეკუთვნოდა.

კამბოჯელი ემიგრანტი თავისი სამუშაოთი სავსებით კმაყოფილი იყო, მისი ხელფასიც წელიწადში ორმოც ათას დოლლარს შეადგენდა. როდესაც ჟურნალისტებმა ჰკითხეს, აპირებდა თუ არა სამუშაოს მიტოვებას, ახალგამომცხვარმა მილიონერმა უპასუხა: „ნებართვა ჩემი ბოსისგან უნდა ავიღო“.

როგორც წესი, ამერიკულ ლატარიაში გამარჯვებულები მოგებას ნაწილ-ნაწილ 20-30 წლის განმავლობაში იღებენ, თუმცა არის ფირმები, რომლებიც იღბლიანებს თანხას მთლიანად სთავაზობენ. რა თქმა უნდა, ერთიანად აღებული ფული საგრძნობლად ნაკლებია იმაზე, რასაც მოთმენის შემთხვევაში აიღებდა გამარჯვებული. თანაც, გადასახადის გადახდა ყველა შემთხვევაში აუცილებელია. პრაქტიკულად, ყველა გამარჯვებული თანხას ერთბაშად იღებს. გამონაკლისი არც ფინ სუია, რომელსაც საბოლოო ჯამში 37, 3 მილიონი დოლარი ხვდა წილად.

**149 მილიონი დოლარი. ლატარია**

2004 წლის ნოემბერში ლატარია „მეგამილიონში“ კიდევ ერთმა ემიგრანტმა გაიმარჯვა. 49 წლის კოლუმბიელ ხუან როდრიგესს იმ დროისთვის უზარმაზარი ვალი დაუგროვდა. უმუშევარი ცოლი ირისი მას კისერზე აწვა და 17 წლის განმავლობაში საცოდავს ტვინს უბურღავდა. ბინის ქირა გადასახდელი, მაცივარი ცარიელი, ორმოცდაოთხი ათასი დოლარი ვალი, საბანკო ანგარიშზე 78 ცენტი., ჯიბეში კი - ერთი დოლარი.

ასეთი იყო ხუანის ფინანსური მდგომარეობა მანამ, სანამ იმ უკნასკნელი ერთი დოლარით ლატარიის ბილეთს არ იყიდდა. ადვილი წარმოსადგენია ხუანის რეაქცია, როდესაც მისმა ბილეთმა 149 მილიონი დოლარი მოიგო. სიხარული მან რა თქმა უნდა მეუღლეს გაუზიარა, რომელმაც თანხის მთლიანად აღება ურჩია. გადასახადების გადახდის შემდეგ თნხამ 88, 5 მილიონი დოლარი შეადგინა. 10 დღეში კი ირისმა ქმარს განქორწინება და ქონების გაყოფა მოსთხოვა.

**181 მილიონი დოლარი. ლატარია**

ლატარია „ბიგ გეიმის“ ჯეკპოტი, რომელმაც 2007 წელს 363 მილიონი დოლარი შეადგინა, უმსხვილესია ლატარიების მსოფლიო ისტორიაში, თუმცა მომგებიანი ბილეთი მაშინ ორი აღმოჩნდა და სოლიდური პრიზი ორმა მოთამაშემ გაიყო. ერთ-ერთი იღბლიანის შესახებ არაფერია ცნობილი, მეორე კი ლარი ლორისია. მას ლატარიის 98 ბილეთის შეძენა ჰოთდოგების გამყიდველმა აიძულა - ლარიმ ორდოლარიანი ჰოთ-დოგი შეიძინა, გამყიდველს კი ასდოლარიანის ხურდა არ ჰქონდა. თავადაპირველად ლარიმ ბუზღუნი დაიწყო, მაგრამ შიმშილის გრძნობამ სძლია და ხურდის ნაცვლად ბილეთები აიღო. მოგების შემდეგ ლარიმაც მთლიანი თანხის აღება არჩია.

**315 მილიონი დოლარი. ლატარია**

ლატარია „ფაუერ ბოლი“ ყველაზე პოპულარულია აშშ-ში. 2002 წლის დეკემბერში მისმა ჯეკპოტმა 280 მილიონი დოლარი შეადგინა. შობის დღესასწაულის წინ ამერიკა მასობრივმა ფსიქოზმა შეიპყრო. ლატარიის გამავრცელებელ ჯიხურებთან მრავალათასიანი რიგები დადგა. შედეგად საპრიზო ფონდმა რამდენიმე დღეში 315 მილიონ დოლარს მიაღწია.

2002 წლის 26 დეკემბრის გათამაშებას მთელი ამერიკა დაძაბული ადევნებდა თვალს. ლოტოტრონზე იღბლიანი რიცხვები ამოვიდა: 5, 14, 29, 53, და 7. რიცხვების ეს კომბინაცია მხოლოდ ერთ ბილეთში აღმოჩნდა, რომელიც ქალაქ ჰინტონის სამშენებლო კომპანიის მფლობელს, 55 წლის ჯეკ უიტაკერს ეკუთვნოდა.

გამარჯვებულმა მოგების ერთბაშად აღება გადაწყვიტა და ხელზე მხოლოდ 112 მილიონი დოლარი აიღო. მან განაცხადა, რომ მოგებას მხოლოდ ეკლესიასა და ოჯახს გაუყოფდა. მართლაც, უიტაკერმა 5 მილიონ დოლარზე მეტი თავის შტატში ეკლესიების ასაშენებლად გაიღო. მისი ფონდი ყოველთვიურად ასეულობით ათას დოლარს ხარჯავდა უპატრონო ბავშვების კვებაზე, ჩაცმასა და განათლებაზე. მეგობრებს კი მანქანებსა და სახლებს ჩუქნიდა.

მილიონერს ძალიან უყვარდა სამორინესა და სტრიპტიზ-კლუბებში მოლხენა. 2003 წლის ივნისში ერთ-ერთ ადგილობრივ ბარში ჯეკი ისე გამოთვრა, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ გაქრა მისი მანქანიდან კეისი, რომელშიც ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი იდო. მართალია კეისი სულ მალე იპოვნეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მისი მანქანიდან კიდევ 100'000 დოლარი მოიპარეს.

ამჯერად ფული ველარ იპოვეს. მას შემდეგ მრავალმილიონიანი მოგების მფლობელს ყოველ კვირაში ძარცვავდნენ. ქალებს მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეჰქონდათ სექსუალური ძალადობის ბრალდებით, მამაკაცები კი მკვლელობის მცდელობასა და ფიზიკურ შეურაცხყოფას სწამებდნენ. მოკლედ, პატარა ქალაქის მცხოვრებლებმა უიტაკერის მოგებით კარგად იხეირეს. ჯეკმა ოჯახი მიატოვა და გალოთდა. მას იარაღის უკანონოდ შენახვისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება წაუყენეს. ორ წელიწადში მან მთელი ფული დაკარგა და ბიზნესიც ჩაუვარდა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**



## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 15 თებერვალი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ცხოვრება მშვენიერია **13.50** ვაშინგტონი დღეს **14.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **15.00** სერ. **"ზღვარს მიღმა" 17.00** დოკ. ფილმი **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი" 20.55 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი **23.00** ევროკავშირი და საქართველო **23.40** მხ. ფილმი **"როზანას საფლავი"** (ჟ. რენო) **01.50** მხ. ფ. **"მშვიდობის-მოყვარე"** (**12**) (ჯ. კლუნი) **04.00** მხ. ფილმი **"რიელის თამაში"** (**15**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 14.00** დოკ. ფილმი **16.00, 17.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი" 20.00** მხ. ფილმი **"იმპერია" 01.00** მხ. ფილმი **"უკან დედამიწაზე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული" 11.00** სერ. **"კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** ეთამაშე ვარსკვლავს **16.30** სიცილის ზონა **17.00** სერ. **"ტერეზა" 18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა" 19.45** სერ. **"სახლი მეზობლად" 22.00** იღბლიანი ბორბალი **23.40 ჩემპიონთა ლიგა. 01.40** შუა დღე **03.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **03.30** პატრული **04.00** მხ. ფილმი (ტიტ.)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა" 12.30** დღის შოუ **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური" 17.40** სერ. **"ევა ლუნა" 19.05** სერ. **"ბედისწერის ძალა" 21.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 22.00** იუმორინა **23.00** ღამის შოუ **00.15** თბილისი ლაივი **01.15** მხ. ფილმი **"წერილები ჯულიეტასთვის"** (ა. საიფრიდი) **03.15** მხ. ფილმი **"სინანულის დღე"** (**15**) (ე. ვუდი) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია" 10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ვერონიკა მარსი" 13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე" 18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა" 21.00** სერ. **"ჯაშუში ქალი" 22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"ექიმი ქმორი" 10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35** სერ. **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი" 16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** სცენა **23.40** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება 08.30** განთიადი **10.35** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **11.00** ჩვენი ფონდი **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** დროის ჩანაწერები. **13.20** კონცერტი – ფშავ-ხევსურეთისადმი მიძღვნილი საღამო **14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ. ფილმი "მირქმა" **16.00** დიდი მარხვა **16.30** კვირიაკე **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.25** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი **"იავნანა" 21.05** პატრიარქის ქადაგება **22.20** ქართული ალბომი **22.40** დოკ. ფილმი "მირქმა- მიგებება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **00.35** განთიადის სტუმარი **00.55** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **01.40** კონცერტი – რიჩარდ გალიანო

**ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**15 თებერვალი**

აშშ დოლარი — 1,6678

ევრო — 2,2122

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6518

რუსული რუბლი — 0,0561

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 0—4, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2-5, ღამით — -3-0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0-3, ღამით — -5 -2

ფვბყცბც გ}ჯუყჯპბ !% სტ,ტ}ეჯბცსებც




# გაზეთი ახალი თაობა“ გთავაზობთ სერიას

32 ტომი

## მსოფლიო დეტექტივების სეიფი

ტომი 1. ჯეიმს ჰედლი ჩეიზი. დათარსული კაცი.
2. ართურ კონან დოილი. მოწამლული სარტყელი. შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი.
3. სიდნეი შელდონი. ნიღაბჩამოხსნილი სახე. უცნობი სარკეში.
4. აგათა კრისტი. მივიწყებული მკვლელობა.
5. ჯადსონ ფილიფსი. სახლი მთაზე. ჭორების ქალაქი.
6. როს მაკდონალდი. კვალს მივყავართ ელ რანჩოში.
7. ჯონ დიქსონ კარი. იმპერატორის საბურნუთე. სიკვდილი არარსებულ ოთახში.
8. ჯო ჰორზი. მტაცებელთა ჟამი.
9. დეშილ ჰემეთი. მინის გასაღები. უაზრო საქმე.
10. ბორის აკუნინი. ლევიათანი.
11. ჩარლზ პ. სნოუ. სიკვდილი იალქნის ქვეშ.
12. დიკ ფრენსისი. ფავორიტი.
13. რაიმონდ ჩანდლერი. ქალი ტბაში.
14. სეიტო მაცუმოტო. მკვიდრთა სამყარო.
15. სირილ ფეირი. წმინდა ინგლისური მკვლელობა.
16. ფრიდრიხ დიურენმატი. ავარია.
17. ჟორჟ სიმენონი. ყვითელი ძაღლი.
18. ბუალო-ნარსჟაკი. ქალი, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმეს.
19. იჟი ედიგეი. თვითმკვლელის ანდერძი.
20. ფრედ ვარგასი. წამოდექით, მიცვალებულებო!
21. ედგარ ალან პო. მკვლელობა მორგის ქუჩაზე.
22. ჯონ ლე კარე. მკვლელობა ჯენტლმენურად.
23. ჰაინერ რანკი. მწვანე მოჩვენება.
24. ჯეფრი ჰადსონი. საგანგებო შემთხვევა.
25. კრისტინ ზემსკი. ოქროს საცეცები.
26. ჯეიმს ჰედლი ჩეიზი. ქვის ჯუნგლი. მოწმეები არ იქნებიან.
27. პერ ვალე. 31-ე განყოფილების დაღუპვა.
28. ერლ სტენლი გარდნერი. ცალთვალა მოწმის ჩვენება.
29. როს მაკდონალდი. უკანასკნელი მზერა.
30. არტურ კეილი. სასტუმრო ნაწილი I.
31. არტურ კეილი. სასტუმრო ნაწილი II.
32. აგათა კრისტი. სიკვდილი ღრუბლებში.

მუქი შრიფტით აღნიშნულია უკვე გასული წიგნები

## ყოველი შაბათის ნომერში

!! სტ,ტჰდკბლფყ უფბ.ბლტ,ფ ნჯვბ * 2 ჯო ჰორზი. მტაცებელთა ჟამი


erTaderTi yovelkvireuli sportuli Jurnali

# სპორტსიახლენი



# 1 თებერვლიდან

ეყზრფკეპზ გპჯტმნზ

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ მე-19 ტომი

ხზყუზპ .ფტყზ

უფპტსზ ლფ ოზუყზ ტჰსფლ * კფჰზ


.დტჰფვ უფბსდფჯბცობყტს=

fcnhjghjuyjpb

!% სტ,ტჰეჯბცსებც

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგანად კარგად ხართ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** — სახლში სიახლეა, გახარებული ხართ. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ თვლით. **სასწორი** — ფულის პრობლემა არ გაქვთ. **ღრიანკალი** — დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ, მთავარია იმოქმედოთ. **მშვილდოსანი** — ნურავის ენდობით, ინფორმაცია გადაამოწმეთ. **თხის რქა** — სიყვარულში გიმართლებთ, საღამოს კარგ დროს გაატარებთ. **მერწყული** — ფული გაქვთ, მაგრამ სულ არ დახარჯოთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ გულისხმას,

უბცეჰდტ,ს ,ტღყბტჰ ღქტც=

hჰჯცდჯჰლბ ფ

**შვეულად**: 1. მწერი განვითარების ერთ-ერთ პირველ სტადიაში; 2. საგაზეთო პუბლიკაცია; 4. გამომშრალი ფეკალური მასებისგან მიღებული ორგანული სასუქი; 5. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 6. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 7. ბავარიის ადმინისტრაციული ცენტრი; 10. სანოტო ნიშანი ბგერის ნახევარტონით ასამაღლებლად; 12. მდინარის ძვირფასი სარეწაო თევზი; 13. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 16. მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 17. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში; 18. ისტორიული მოედანი რომში; 19. წვრილად დაჭრილი, გამხმარი თამბაქოს ფოთლები; 21. ირმისებრთა ოჯახის ცხოველი.

**თარაზულად**: 3. ხიდის მოაჯირი; 8. გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალისტი; 9. სამძებრო პოლიციის აგენტი, მაძებარი; 11. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 12. აშშ-ის სტეპებში გავრცელებული მგელი; 14. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 15. გვერდითი მსაჯი ფეხბურთში; 20. მსხვილი სეტყვა; 22. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 23. ღვინის შესანახი თიხის ჭურჭელი; 24. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 25. ხვიარა, მცოცავი მარადმწვანე მცენარე; 26. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 27. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

